კვირეული „ვერსია“ ერთი

ვერსია

№22 (1712) 24 — 30 ივლისი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

როგორ უღალატა დაქალმა დაქალს

პროვინციულ სალონში მომხდარი სასიყვარულო დრამა

ბაიდენის დიდი ოჯახური ტრაგედია

რა გზა განვლო სენატორობიდან პრეზიდენტობამდე – ნაცნობი და უცნობი ფაქტები „მძინარე ჯოს“ ცხოვრებიდან

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

უმიშროების თანაშრომლის გათამაშებული სიკვდილი

ვინ არის ქალი, რომლის საქმესაც გრიფით „საიდუმლო“ დაადეს

გინეკოლოგის მანიაკი ვაჟი

რატომ კლავდა ფეხმძიმეებს ახალგაზრდა მამაკაცი

შინაგან საქმეთა სამინისტროში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გაიმართა



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გაიმართა. შეხვედრას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე დარახველიძე უძღვებოდა.

სხდომის ფარგლებში, საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა განიხილეს სახელმწიფო უწყებების მიერ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები. ასევე, იმსჯელეს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2025-2028 წლების სტრატეგიისა და 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებებსა და სამუშაო ჯგუფების განახლების საკითხზე.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის, ფინანსთა მინისტრისა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილეები, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალური პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლები.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს – დაკავებულია ცხრა პირი.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი ორი პირი – 1991 წელს დაბადებული ზ.ქ. და 1999 წელს დაბადებული ნ.ე. დააკავეს. სამართალდამცველებმა ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, 2 ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 7 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1994 წელს დაბადებული თ.ც.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღი, 27 ვაზნა მჭიდი და თ.ც. ბრალდებულის სახით დააკავეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1990 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ო.ო. დააკავეს. სამართალდამცველებმა ო.ო.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, ცეცხლსასროლი პისტოლეტი და მჭიდი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ამავე დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1989 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ბ.ო. დააკავეს. პოლიციამ ბ.ო.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 57 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ დაკავებული, 1981 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი თ.ჯ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოღებულია ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 3 ვაზნა.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, 1975 წელს დაბადებული რ.მ. დააკავეს. სამართალდამცველებმა რ.მ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 13 ვაზნა ამოიღეს.

იმერეთის პოლიციის დეპარტამენტისა და ზესტაფონის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, 1964 წელს დაბადებული მ.კ. დააკავეს. ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ცეცხლსასროლი იარაღი და გადაჭრილი სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოღებულია.

სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალქალაქის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებული 1958 წელს დაბადებული მ.ჩ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 96 ვაზნა ნივთმტკიცებადაა ამოიღებული.

დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

პოლიციამ, იმერეთში მომხდარი განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1976 წელს დაბადებული მ.ჯ. დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ხონის მუნიციპალიტეტში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1990 წელს დაბადებულ თ.ფ.-ს, ცივი იარაღით სასიკვდილო დაზიანება მიაყენა.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თაღლითობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 2004 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი გ.კ. თაღლითობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული სოციალური ქსელის – Facebook პლატფორმაზე, კონკრეტული მოქალაქეების სახელისა და გვარების, ასევე ფოტოსურათების გამოყენებით, ყალბ გვერდებს ქმნიდა. აღნიშნული გვერდების გამოყენებით, სხვადასხვა პირს უკავშირდებოდა, ნდობის მოპოვების შემდეგ კი თანხის სესხებას სთხოვდა. ბრალდებული აღნიშნული დანაშაულებრივი სქემით რამდენიმე მოქალაქის თანხას მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით მიმდინარეობს.

ბაიდენის დიდი ოჯახური ტრაგედია

ნინო დოლიძე

რა გზა განვლო სენატორობიდან პრეზიდენტობამდე – ნაცნობი და უცნობი ფაქტები „მძინარე ჯოს“ ცხოვრებიდან

როგორც მოსალოდნელი იყო, აშშ-ის მოქმედმა პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა, რაც იმას ნიშნავს, რომ აშშ-ის წლევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე, რესპუბლიკელი დონალდ ტრამპის კონკურენტი აღრ იქნება. ინფორმაციაში, რომელიც მიმდინარე წლის 22 ივლისს გავრცელდა, ვკითხულობთ:

„ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ 5 ნოემბერს გასამართი არჩევნებიდან მოხსნა თავისი კანდიდატურა და მხარი დაუჭირა ვიცე-პრეზიდენტ კამალა ჰარისს, – ამის შესახებ ჯო ბაიდენმა სოციალურ ქსელში გავრცელებულ წერილში განაცხადა.

ბაიდენმა აღნიშნა, რომ ამერიკაში დიდი პროგრესი იქნა მიღწეული ბოლო 3.5 წლის განმავლობაში, როდესაც ის პრეზიდენტი იყო და დაამატა: „ჩვენ შევინარჩუნეთ და დავიცავით ჩვენი დემოკრატია“.

ბაიდენმა აღნიშნა, რომ მისთვის უდიდესი სიამაყეა ყოფილიყო შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანამდებობაზე და თქვა: „მე ვაპირებდი არჩევნებში მონაწილეობას, მაგრამ გადავწყვიტე, რომ უმჯობესი იქნება ჩემი პარტიისა და ჩემი ქვეყნის სახელით უკან დახევა. დარჩენილ დროში, მხოლოდ ჩემს საპრეზიდენტო მოვალეობებზე მოვახდენ ყურადღების კონცენტრირებას“.

მან განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში სიტყვით მიმართავს საზოგადოებას თავისი გადაწყვეტილების შესახებ, ასევე მადლობა გადაუხადა ვიცე-პრეზიდენტ კამალა ჰარისს „არაჩვეულებრივი პარტნიორობისთვის“ და თქვა, რომ მხარი დაუჭირა მას, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატს.

მან აღნიშნა, რომ 2020 წლის არჩევნებში, ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად კამალა ჰარისის არჩევა საუკეთესო გადაწყვეტილება იყო, რომელიც მან მიიღო და დაამატა: „დღეს, მე ჩემს სრულ მხარდაჭერას და თანხმობას ვაძლევ კამალას, რომ იყოს ჩვენი პარტიის კანდიდატი“.

ჰარისი გახდება დემოკრატიული პარტიის ოფიციალური კანდიდატი, თუ საკმარის ხმებს მიიღებს დელეგატებისგან, დემოკრატების ეროვნულ კონგრესზე.

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა და რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატმა დონალდ ტრამპმა აღნიშნა: „ჯო ბაიდენი არასდროს იყო შესაფერისი საპრეზიდენტო არჩევნებზე კანდიდატობისთვის და არ არის შესაფერისი, ასევე პრეზიდენტის მოვალეობის გასაგრძელებლად“.

ტრამპმა, ბაიდენის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნის შემდეგ განცხადება გააკეთა სოციალური ქსელით – Social Truth.

მისი თქმით, ბაიდენმა 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა „ტყუილისა და ყალბი ინფორმაციების“ წყალობით და მისმა ექიმმა და მის გარშემო მყოფებმა იციან, რომ ის პრეზიდენტი ვერ იქნებოდა.

„ბაიდენი არასდროს უნდა ყოფილიყო პრეზიდენტი“, – თქვა ტრამპმა და დაამატა, რომ ქვეყანას მისი პრეზიდენტობის დროს დიდი ზიანი მიადგა.

„ბაიდენი არასდროს ყოფილა შესაფერისი საპრეზიდენტო არჩევნებზე კანდიდატობისთვის და მისი მდგომარეობა არ არის შესაფერისი ასევე პრეზიდენტის მოვალეობის გასაგრძელებლად“, – განაცხადა ტრამპმა და დასძინა, რომ სწრაფად „აღადგენს“ ქვეყნისთვის ბაიდენის პრეზიდენტობით მიყენებულ ზიანს.

და მაინც, ვინ არის ჯო ბაიდენი და რა გზა განვლო პრეზიდენტობამდე? – „ვერსია“ მსოფლიოს ზესახელმწიფოს ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტის დოსიეს გთავაზობთ.

ადრეული წლები და ოჯახი

„ძია ჯოს“, „ძია მთავარსარდლის“, „მძინარა ჯოს“ მეტსახელებით ცნობილი ჯო ბაიდენი 1942 წელს, პენსილვანიის ქალაქ სკრენტონში დაიბადა. მისი ოჯახი მაშინდელ ამერიკულ საშუალო კლასს განეკუთვნებოდა. იგი ჯინ და ჯოზეფ ბაიდენების უფროსი შვილი იყო. პენსილვანიაში, მამამისი ბიზნესით იყო დაკავებული, თუმცა რიგი წარუმატებლობისა და სკრენტონის ეკონომიკური დაღმასვლის შემდეგ, ოჯახი დელავერის ქალაქ ვილმინგტონში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ბაიდენმა სკოლა დაამთავრა.

ბავშვობაში ბაიდენს ენა ებმებოდა, თუმცა, როგორც თავად ამბობს, ამის დასაძლევად „სარკის წინ, ლექსებს კითხულობდა“. ბაიდენის ენის დაბმა მედიის ყურადღების ცენტრში აგვისტოში მოექცა, როცა დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე შეკრებილ საზოგადოებას 13 წლის ბრეიდენ ჰარინგტონმა მიმართა. ჰარინგტონმა მოყვა, თუ როგორ შეხვდა ბაიდენს ნიუ-ჰემფშირის შტატში და როგორ დაეხმარა მას პრეზიდენტობის კანდიდატი ენის დაბმასთან გამკლავებაში.

1972 წლის 18 დეკემბერს, ბაიდენის პირველი ცოლი – ნელია და მათი ერთი წლის შვილი ემი ავტოავარიაში დაიღუპნენ. დაშავდნენ ბო და ჰანტერ ბაიდენებიც. ბო ბაიდენი დელავერის გენერალური პროკურორის პოსტს იკავებდა და 2015 წელს, ტვინის კიბოთი გარდაიცვალა.

1977 წელს ბაიდენმა მეორედ იქორწინა. მისი მეუღლე მასწავლებელი, ჯილ ტრეისი იაკობსი გახდა.

რომ არა ნიქსონი, ბაიდენი რესპუბლიკელი იქნებოდა

1968 წელს, უმაღლესი იურიდიული განათლების მიღების შემდეგ, ბაიდენი მუშაობდა იურიდიულ კომპანიაში, რომელიც ცნობილ დელავერელ რესპუბლიკელს, უილიამ პრიკეტს ეკუთვნოდა. ბაიდენის თქმით, მაშინ „თავს რესპუბლიკელად განიხილავდა“.

იგი უკმაყოფილო იყო მაშინდელი დემოკრატი გუბერნატორით და მხარს მის ოპონენტს უჭერდა. მის „გარესპუბლიკელებაზე“ პარტიის ადგილობრივი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ბაიდენის დიდი ოჯახური ტრაგედია



მე-3 გვერდიდან

მესვეურები მუშაობდნენ, მაგრამ ბაიდენი მაშინ დამოუკიდებელ ამომრჩევლად დარეგისტრირდა, რადგან რესპუბლიკელების პრეზიდენტობის კანდიდატი, რიჩარდ მილჰაუზ ნიქსონი არ მოსწონდა. მოგვიანებით, ბაიდენი დემოკრატთა რიგს შეუერთდა.

პარტიის ეგიდით, 1970 წელს, მან ნიუ კასლის საგრაფოს საბჭოს წევრად იყარა კენჭი და გაიმარჯვა, ორ წელიწადში კი აშშ-ის სენატორად იყარა კენჭი.

ამ შემთხვევაშიც, ბაიდენის მომავალზე უკვე პრეზიდენტმა ნიქსონმა იქონია გავლენა. მოქმედი რესპუბლიკელი სენატორი, კალემ ბოგსი აღარ აპირებდა კენჭისყრას, რის გამოც რესპუბლიკელები მძიმე და კონკურენტულ პრაიმერს (შიდაპარტიულ არჩევნებს) ელოდნენ. სწორედ ნიქსონმა სთხოვა ბოგს, კენჭი კიდევ ერთხელ ეყარა.

ბაიდენი, თავის მხრივ, ერთადერთი იყო, ვინც დემოკრატთა რიგებში იმ წელს, სენატის არჩევნებში მონაწილეობის მიღების სურვილს გამოთქვამდა. საარჩევნო კამპანიას, რომელიც უპერსპექტივოდ მიიჩნეოდა, მისი და ვალერი ბაიდენ-ოუენსი ჩაუდგა სათავეში. საბოლოო ჯამში, ბაიდენმა ბოგსი 3 162 ხმით დაამარცხა და კიდევ შვიდჯერ გაიმარჯვა სენატის არჩევნებში.

არჩევნების დღეს, ბაიდენი მხოლოდ 29 წლის იყო და სენატორობისთვის აუცილებელ 30-წლიან ნიშნულს მხოლოდ 30 ნოემბერს მიაღწია. 3 იანვარს, მან ფიცი დადო და აშშ-ის ისტორიაში, იმ მომენტისთვის მეექვსე, ყველაზე ახალგაზრდა სენატორი გახდა.

36 წელი აშშ-ის სენატში

ბაიდენი სენატორის პოსტს 1973 წლიდან 2009 წლამდე იკავებდა და იგი 15 იანვარს – ვიცე-პრეზიდენტად ინაუგურაციამდე 5 დღით ადრე დატოვა. დღევანდელი მონაცემით, სენატში გატარებული წლების რეიტინგში, ბაიდენი მე-18 პოზიციაზეა.

2001-03 და 2007-09 წლებში იყო სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე, 1987-1995 წლებში კი იურიდიულ კომიტეტს ედგა სათავეში. 36-წლიანი სენატორობით ბაიდენმა პრეზიდენტობისთვის აუცილებელი გამოცდილება მოაგროვა, თუმცა ბევრი ისეთი ნაბიჯი გადადგა და ისეთი აზრი გამოთქვა, რის გამოც მოგვიანებით, კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვა:

ომი ერაყში – 2002 წლის ოქტომბერში, მან მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რომელიც პრეზიდენტ ბუშს ძალის გამოყენების უფლებას აძლევდა. მოგვიანებით, ბაიდენი ომის მოწინააღმდეგე გახდა – ამბობდა, რომ 2002 წლის გადაწყვეტილება „შეცდომა“ იყო, თუმცა რეგიონიდან ჯარის გამოყვანას არ ითხოვდა.

„1994 წლის კანონი ძალადობრივი დანაშაულისა და სამართალდაცვის შესახებ“ – როგორც „ვოქსი“ წერს, კანონი, რომელიც ბილ კლინტონის პრეზიდენტობის დროს მიიღეს, იყო მაშინდელი დემოკრატიული პარტიის მცდელობა, წინააღმდეგობა გაეწია რესპუბლიკელების რიტორიკისთვის, რომ დემოკრატები „კრიმინალის მიმართ რბილად იყვნენ განწყობილნი“.

კანონის რიგ ასპექტებს დემოკრატიულ პარტიაში ახლაც იწონებენ, თუმცა ბაიდენი – მაშინ მისი ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი – ხშირად ყოფილა კრიტიკის ობიექტი პუნქტისთვის, რომლის თანახმადაც სამი დანაშაულის (მათ შორის, არაძალადობრივის) ჩადენისთვის მოქალაქეებისთვის შესაძლოა სამუდამო პატიმრობაც მიესაჯათ.

„ქორწინების დაცვის აქტი“ – 1996 წელს, ბაიდენმა მხარი დაუჭირა კანონს, რომელმაც ფედერალურ დონეზე განსაზღვრა ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი და მიანიჭა უფლება შტატის ხელისუფლებებს, ერთი და იმავე სქესის წყვილებისთვის ქორწინებაზე უარი ეთქვა. მოგვიანებით, ბაიდენის პოზიცია ამ საკითხზე შეიცვალა.

აბორტის უფლება – 1982 წელს, ბაიდენმა მხარი დაუჭირა იურიდიულ კომიტეტში შეტანილ კანონს, რომელიც შტატებს საშუალებას აძლევდა, თავიდან განეხილათ და გაეუქმებინათ აშშ-ის უზენაესი სასამართლოს 1973 წლის გადაწყვეტილება, რომლითაც აბორტი მთელი ქვეყნის მასშტაბით გახდა ლეგალური. კანონპროექტი ამ რედაქციით სენატის მთელი შემადგენლობის წინაშე არ წარსდგა, ხოლო განახლებულ ვერსიას ბაიდენმა ხმა არ მისცა. ამასთან ერთად, 1973 წელს, გადაწყვეტილების შემდეგ, მან განაცხადა, რომ სასამართლო გადაწყვეტილება „ძალიან შორს წავიდა“ და დასძინა, რომ მხოლოდ ქალს „არ უნდა ჰქონდეს უფლება განსაზღვროს, თუ რა დაემართება მის სხეულს“.

წინა საკითხის მსგავსად, მოგვიანებით, მისი პოზიცია ასევე შეიცვალა.

კავშირი სეგრეგაციონისტებთან – ბაიდენის სენატის არჩევის პერიოდში, აშშ-ში, ჯერ კიდევ აქტუალური იყო თეთრი და შავკანიანი მოქალაქეების სეგრეგაციის საკითხი. დემოკრატთა დებატების დროს, კამალა ჰარისმა, მისმა მომავალმა ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატმა, ბაიდენს სეგრეგაციონისტებთან ერთად

დასასრული მე-5 გვერდზე

ბაიდენის დიდი ოჯახური ტრაგედია

მე-4 გვერდიდან

მუშაობა შეახსენა. მაშინ ბაიდენი მათთან ერთად ფედერალური ხელისუფლების მიერ მოსწავლეების სკოლაში ავტობუსით წაყვანის პროგრამას ეწინააღმდეგებოდა. დებატებისას ბაიდენმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ „ეწინააღმდეგებოდა არა კონცეფციას, არამედ, მისი აშშ-ის განათლების დეპარტამენტის მიერ აღსრულებას“. გარდა ამისა, 22 მაისს, ბაიდენმა შავკანიან ამომრჩეველს უთხრა, რომ ის „არ იყო შავკანიანი, თუ ჯერ კიდევ ფიქრობდა იმაზე, თუ ვისთვის უნდა მიეცა ხმა არჩევნებზე“.

ჰანტერ ბაიდენი და „ბურისმა“ – ბაიდენის შვილის, ჰანტერის საქმიანობა უკრაინაში მას შემდეგ მოექცა ყურადღების ქვეშ, რაც 2019 წელს გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ დონალდ ტრამპი უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმერ ზელენსკის, მის წინააღმდეგ საქმის აღძვრას სთხოვდა, უარის შემთხვევაში კი სამხედრო დახმარების შეჩერებით ემუქრებოდა. ბაიდენის ოპონენტების თქმით, ჰანტერ ბაიდენი უკრაინის უმსხვილესი ენერგეტიკული კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრად მამამისის სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით დაინიშნა, ხოლო ბაიდენი ემუქრებოდა უკრაინის მაშინდელ პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს, რომ აშშ უარს იტყოდა კიევისთვის დახმარების აღმოჩენაზე, თუ თანამდებობას არ დაატოვებინებდნენ პროკურორს, რომელსაც „ბურისმას“ დირექტორთა საბჭოს წევრების წინააღმდეგ საქმე მიჰყავდა.

პრეზიდენტობის ორი წარუმატებელი მცდელობა

1987 წელს, როცა პრეზიდენტის პოსტზე რონალდ რეიგანის მემკვიდრე უნდა აერჩიათ, ბაიდენმა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შესახებ განაცხადა. თავდაპირველად იგი ძლიერ კანდიდატად განიხილებოდა, მაგრამ მისი პოზიციები შეირყა, როცა გამოვლინდა, რომ გამოსვლებში ბაიდენი ხშირად იყენებდა სხვა პოლიტიკოსების – ჯონ კენედის, ჰიუბერტ ჰამფრისა და ნილ კინოქის სიტყვებს. 1987 წლის 23 სექტემბერს, ბაიდენი ბრძოლას გამოეთიშა და განაცხადა, რომ მისი კანდიდატურა გადაფარა წარსულის შეცდომების „ჩრდილმა“.

მეორე მცდელობა მას 2008 წელს ჰქონდა, თუმცა ამ შემთხვევაში, ბაიდენის კამპანიას ორმა სხვა ადამიანმა „შეუშალა“ ხელი – ჰილარი კლინტონმა და ბარაკ ობამამ. უკანასკნელმა მოახერხა პრაიმერში გამარჯვება და მოგვიანებით, ბაიდენი ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა. ობამა-ბაიდენის წყვილმა 2008 წელს, მაკკეინ-პეილინი, 2012 წელს კი რომნი-რაიანი დაამარცხა.

2015 წელს, აქტიურად მიდიოდა საუბარი იმაზე, რომ 2016 წელს, დემოკრატიული პარტიის კანდიდატობისთვის ბაიდენიც იბრძოლებდა. თუმცა, როგორც თავად მაშინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა თქვა, ამ განზრახვაზე უარი შვილის გარდაცვალების გამო თქვა.

2020 წლის პრაიმერი

2020 წელს, დემოკრატიული პარტიის კანდიდატობის რეკორდულად ბევრი – 29 მსურველი იყო. კანდიდატებს უხეშად ჰყოფდნენ ორ კატეგორიად: მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებად (ბერნი სანდერსი, ელიზაბეთ უორენი, ტულსი გაბარდი) და ცენტრისტული ფრთის წარმომადგენლებად (ბაიდენი, კამალა ჰარისი, კორი ბუკერი, მაიკლ ბლუმბერგი).

ბაიდენმა, რომელიც ხმის მიცემის დაწყებამდე ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნეოდა, თავდაპირველად ვერ მოახერხა გამარჯვების მოპოვება ორ უმნიშვნელოვანეს – აიოვასა და ნიუ ჰემფშირის შტატების პრაიმერში. პირველი გამარჯვება ბაიდენმა 29 თებერვალს, სამხრეთ კაროლინაში მოიპოვა. მარტის დასაწყისში, ბრძოლას გამოეთიშა ფაქტობრივად ყველა კანდიდატი, რომლებიც ცენტრისტული ფრთის წარმომადგენლებად მიიჩნეოდნენ. თითოეულმა მათგანმა, ელიზაბეთ უორენის გარდა, მაშინვე მხარი დაუჭირა ბაიდენს, რომლის ერთადერთი მოწინააღმდეგე ბერნი სანდერსი იყო. სანდერსმა თავისი კანდიდატურა ერთ თვეში მოხსნა, 13 აპრილს კი ბაიდენს დაუჭირა მხარი.



აუდიტის ანგარიში, რომელიც სახელმწიფო მაკონტროლებლებმა გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნეს

რა დარღვევები გამოვლინდა ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში

მაკა რუხაძე

„ვერსია“ განაგრძობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იმ ანგარიშების განმეორებას, რომლებიც უწყებამ გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნა. ამჯერად, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტებს განვიხილავთ. უფრო ზუსტად, ორივე მუნიციპალიტეტში არსებული ფინანსური დარღვევები ცალ-ცალკე, „ვერსიაში“ დეტალურად შარშან უკვე განვიხილეთ. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ უწყებამ აუდიტის ეს ანგარიშებიც პროკურატურაში გადააგზავნა, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, მცირეოდენი შემოკლებით. ვიდრე აუდიტის ანგარიშებს შემოგთავაზებთ, შეგახსენებთ, რომ როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო აუდიტორებმა ორივე მუნიციპალიტეტში – ქობულეთშიც და ხელვაჩაურშიც მთელი რიგი ნაკლოვანებები გამოავლინეს, მათ შორის, ბიუჯეტის შესრულებაში, სახელმწიფო შესყიდვებში, მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობაში, შრომის ანაზღაურებასა და ტრანსპორტის ხარჯებში.

ქობულეთი – დარღვევები ბიუჯეტის შესრულებაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების შესაბამისად, აუდიტის პერიოდში, შემოსულობების გეგმა – 102 722 342 ლარით, ხოლო გადასახდელების – 107 466 404 ლარით განისაზღვრა. 2021-2022 წლებში, ბიუჯეტის შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი ჯამურად 89.1%-ით, ხოლო გადასახდელების – 86.4%-ით შესრულდა.

„შეუსრულებლობა, ძირითადად, სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიუღებელმა 9 452 347 ლარმა განაპირობა. აღნიშნული ტრანსფერის მუნიციპალიტეტისათვის გადაცემა შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების პროპორციულად ხორციელდება. შესაბამისად, შემოსულობებისა და გადასახდელების შეუსრულებლობის მიზეზი არასწორად დაგეგმილი და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებია.

კერძოდ, 2021-2022 წლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის ბიუჯეტით გამოყოფილი 2 697 231 ლარიდან ათვისებულია მხოლოდ 1 488 272 ლარი ანუ 55.2%, რაც იმის შედეგია, რომ შემსრულებელმა კომპანიამ ვალდებულება დროულად არ შეასრულა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ შემსრულებელი კომპანიების მიერ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, შეწყვეტილია რვა ხელშეკრულება, რის შედეგადაც ბიუჯეტით გამოყოფილი 3 131 128 ლარიდან, ათვისებულია მხოლოდ 332 386 ლარი ანუ 10.6%. ადგილობრივი ბიუჯეტის საბალანსო მონაცემების შესაბამისად, 2021 წელს ნაშთის ცვლილების გეგმური მაჩვენებელი 7.5%-ით, ხოლო 2022 წელს 56.8%-ით შესრულდა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ 2021-2022 წლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ბიუჯეტის შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი ჯამურად 89.1%-ით, ხოლო გადასახდელების – 86.4%-ით შესრულდა. ამასთან, ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული თავისუფალი საბიუჯეტო სახსრები არასრულადაა გამოყენებული. ყველაფერი ეს, მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვასა და სხვადასხვა პროექტის დაგეგმვის ხარვეზებზე მიუთითებს.

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველჰყოფს სახელმწიფო შესყიდვების სათანადო დაგეგმვა-განხორციელებას, რაც შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გონივრულ ვადაში გამოუყენებლობასა და მათში არსებულ ხარვეზებში გამოიხატება. შედეგად, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები ვერ განხორციელდა.

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველჰყო სათანადო ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების მქონე მიმწოდებლების შერჩევა, რამაც მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერება განაპირობა. ამასთანავე, ვალდებულებების შეუსრულებლობისა და საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის მიუხედავად, ავანსად გაცემული თანხის დასაბრუნებლად მუნიციპალიტეტს სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ვინაიდან ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში დანერგილი შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების სათანადო დადასტურებას, ოთხ შემთხვევაში, ვერ მიიღეს რწმუნება შესყიდული სამუშაოსა და მომსახურების სახელშეკრულებო პირობებთან შესაბამისობის შესახებ.

„ამასთან, არასრული სახით ხდება ხელშეკრულებების შესრულებასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვა, რაც ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს“.

დარღვევები მუნიციპალური აქტივების მართვაში

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქობულეთის მუნიციპალიტეტს ბალანსზე ერიცხებოდა 374 264 476 ლარის ღირებულების აქტივები მათ შორის, 361 155 345 ლარის – ძირითადი აქტივი და 8 641 484 ლარის – სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივი.

„ათი ინფრასტრუქტურული პროექტის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებული იყო არსებული აქტივების დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი სამშენებლო მასალისა და სხვა დაუზიანებელი აქტივის დასაწყობება. შესაბამისი მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციით, ქონება დასაწყობებულია, თუმცა მათი ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა და არც მუნიციპალიტეტის ბალანსზე არ ასახულა. ამასთან, მუნიციპალიტეტის მერიამ ვერ წარადგინა ინფორმაცია ვარგისი ქონების განთავსების ლოკაციების თაობაზე.

მოპოვებული ინფორმაციით, 2022 წელს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას და მუნიციპალურ ორგანიზაციებს, მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, არ ჩაუტარებიათ ბალანსზე რიცხული 192 203 655 ლარის აქტივების, მოთხოვნების და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია, რის გამოც აქტივები და ვალდებულებები არ შემოწმებულა და არც მათი აღრიცხვის სისწორე დადგენილა“.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2021 წელს, ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირდა 14 დასახელების, 12 143 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალებების დანაკლისი, თუმცა წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ინვენტარიზაციის შედეგებზე რეაგირება არ მომხდარა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ 2022 წელს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და მუნიციპალურ ორგანიზაციებს, მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, არ ჩაუტარებიათ ბალანსზე რიცხული 192 203 655 ლარის აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია, არ არის შესრულებული მოთხოვნები იჯარით გაცემული ქონების აღრიცხვასთან დაკავშირებით და არ არის აღრიცხული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების დროს ქონების დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მატერიალური აქტივები. ყველაფერი ეს, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, საჯარო აქტივების მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

აუდიტის ანგარიში, რომელიც სახელმწიფო მაკონტროლებლებმა გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნეს

მე-6 გვერდიდან

ხარვეზები მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობაში

აუდიტის პერიოდში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემულია 242 სამშენებლო ნებართვა, მათ შორის, 214 შემთხვევაში ნაბართვა გაცემულია ახალ მშენებლობაზე, 11 შემთხვევაში – მშენებლობის ცვლილებასა და 17 შემთხვევაში – შენობის დემონტაჟზე. სახელმწიფო აუდიტორებისთვის მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2021-2023 წლებში, ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლენილია უნებართვო მშენებლობის 30 შემთხვევა, რის გამოც მშენებლობის მწარმოებელი ფიზიკური თუ იურიდიული პირები დაჯარიმდნენ 93 000 ლარით, საიდანაც 2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გადახდილია 53 590 ლარი ანუ ჯარიმის 57.6%.

„აუდიტის ჯგუფმა შერჩევითი წესით შეისწავლა ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების კანონიერება. შესწავლის შედეგად, გამოვლინდა ოთხი უნებართვო მშენებლობა, რომელთან დაკავშირებით, ქობულეთის ზედამხედველობის სამსახურის მიერმიღებულია დადგენილებები, მშენებელი პირების მიმართ საჯარიმო სანქციების დაკისრებისა და უკანონოდ აშენებული შენობების დემონტაჟის შესახებ, თუმცა აღნიშნული ღონისძიებები, პრაქტიკულად, არ განხორციელებულა.

კერძოდ, ქალაქ ქობულეთში, თამარ მეფის სანაპირო №52-ისა და №54-ის, ასევე, დავით აღმაშენებლის გამზირის №279-ის მიმდებარედ, დაფიქსირდა კაფე-ბარების უნებართვო მშენებლობები. სამივე შემთხვევაში, მშენებლობა განხორციელებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლითაც აღნიშნული პირები სარგებლობდნენ მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული საიჯარო ხელშერკულების საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით, 2023 წლის ივლისში, მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მიღებულია დადგენილებები, მშენებელი პირების დაჯარიმებისა და უკანონოდ აშენებული შენობების დემონტაჟის შესახებ, თუმცა დათვალიერების თარიღისათვის შენობების დემონტაჟი არ იყო განხორციელებული“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ქობულეთის მერიის მიერ, უკანონო მშენებლობების აღკვეთის მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ შეაჩერა უნებართვო მშენებლობები და ვერც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უკანონო გამოყენება აღკვეთა, რაც ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე მშენებლობების ზედამხედველობასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

ხარვეზები შრომის ანაზღაურებაში

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების ადგილობრივი ბიუჯეტების შესაბამისად, შრომის ანაზღაურების ფონდი ჯამში – 5 090 543 ლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდში, შრომის ანაზღაურების სახით გახარჯულია 5 041 755 ლარი, რაც საბიუჯეტო გეგმის 99%-ია. სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა მიერ მიღებული თანამდებობრივი სარგოს და ფაქტობრივად ნამუშევარი დროის შესაბამისობის დადგენის მიზნით დანერგილი კონტროლის მექანიზმები არ ფუნქციონირებს.

„კერძოდ, არ წარმოებს თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვა. ამასთან, აუდიტის პერიოდში, მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებებში არ მიმდინარეობს სამუშაო დროის გამოყენებისა და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელის წარმოება. ხელფასების დარიცხვა ხდება მხოლოდ საშტატო განრიგის საფუძველზე. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სრული განაკვეთით დასაქმების პირობებში, 26 თანამშრომელი, რომელთა ანაზღაურებამ 2021-2022 წლებში, 148 195 ლარი შეადგინა, პარალელურად ირიცხებოდნენ მუნიციპალიტეტის სხვა დაწესებულებების მუშაკებად, სადაც შრომის ანაზღაურების სახით, მიღებული აქვთ 137 202 ლარი. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება მათ მიერ სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებასთან დაკავშირებით“.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ რიგი თანამშრომლების ხელფასები – სულ 2 249 ლარი, არასწორად გადაერიცხათ სხვა თანამშრომლებს. სახელმწიფო აუდიტორებისთვის წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, არასწორად გადარიცხული ხელფასები თანამშრომლებს შორის პირადი ანგარიშსწორებით დარეგულირდა და მათი სათანადო აღრიცხვა არ განუხორციელებიათ.

სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის სისტემა. გამოვლინდა შრომის ანაზღაურების არასწორად გაცემისა და 24 122 ლარის მითვისების ფაქტები. აღნიშნული გარემოებები, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან მიმართებით, არსებული კონტროლის მექანიზმების არსებით სისუსტეზე მიუთითებს და არამართლზომიერი ქმედებების რისკებს შეიცავს.

დარღვევები ტრანსპორტის ხარჯებში

2021-2022 წლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის, ასევე, მათი მოვლა-შენახვის საკასო ხარჯებმა შეადგინა 2 685 338 ლარი. ამავე პერიოდში, მუნიციპალიტეტის ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის ხარჯვა ხორციელდებოდა აგაი (ავტომანქანის გამართვა და ავტომატური იდენტიფიცირება) სისტეემის გამოყენებით. ჯამში, გახარჯულია 469 962 ლარის საწვავი, მათ შორის, ბალანსზე რიცხულ 18 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაიხარჯა 307 788 ლარის საწვავი, ხოლო საჯარო მოხელეების პირად საკუთრებაში არსებულ 21 ერთეულ ავტოტრანსპორტზე – 162 174 ლარის საწვავი.

„ტრანსპორტთან დაკავშირებული დანახარჯების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ არასათანადო კონტროლია დაწესებული მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გამოყოფილი საწვავის ხარჯვის საკითხზე. ამასთან დაკავშირებით, ვერ იქნა წარმოდგენილი გაცემული საწვავის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისთვის ხარჯვის დოკუმენტური დადასტურება. ჩატარებული აუდიტით გამოვლინდა რიგი შემთხვევები, როდესაც უფლებამოსილი პირები არ იმყოფებოდნენ მივლინებაში, თუმცა ავტომანქანა დაფიქსირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. აღნიშნულ შემთხვევებზე ვერ იქნა წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი ავტომობილის ყოფნის აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულება“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველჰყოფს საწვავის მიზნობრივად ხარჯვის დოკუმენტურ დადასტურებას, რის გამოც ვერ მიიღეს რწმუნება აუდიტის პერიოდში 52 070 ლიტრი საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით.

ხელვაჩაური – დარღვევები სახელმწიფო შესყიდვებში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სათანადო დაგეგმვა-განხორციელებას. ამასთან, სამშენებლო მასალებისა და სამუშაოების საბაზრო

დასასრული მე-8 გვერდზე

აუდიტის ანგარიში, რომელიც სახელმწიფო მაკონტროლებლებმა გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნეს

მე-7 გვერდიდან

ღირებულებების, ასევე სხვა გარემოებების ცვლილებების გათვალისწინებით, საპროექტო დოკუმენტაციის გამოყენების დროისთვის, შესაძლოა, საჭირო გახდეს მათი კორექტირება, რაც საბიუჯეტო სახსრების დამატებით ხარჯვასთან იქნება დაკავშირებული.

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ განხორციელებული ცვლილებების შედეგად, გაუარესდა შემსყიდველის პირობები, ხოლო ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის გამოუყენებლობით, ბიუჯეტში, დამატებით 13 407 ლარის მობილიზება ვერ მოხერხდა. მუნიციპალიტეტში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველჰყოფს მოქმედი რეგულაციების და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობების დაცვას“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო მაკონტროლებლების მტკიცებით, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის გადახდილია თანხები, როდესაც არ არსებობს შესაბამისი ხელშეკრულებები, ხოლო ხელშეკრულებების შემთხვევაში, არ დასტურდება შესაბამისი საქონლის/მომსახურების მიღება.

ხარვეზები იურიდიული პირების მართვაში

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის (ააიპ) „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურში“, 2019-2022 წლებში, ზედმეტად გაიცა თანხები.

აუდიტორების მტკიცებით, ეს თანხა ზედმეტად გაიცა, როგორც ხელფასის სახით, ასევე სხვადასხვა საფუძვლით: „ყველაფერი ეს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის საქმიანობის ზედამხედველობასთან დაკავშირებით კონტროლის მექანიზმის სისუსტეზე მიუთითებს და არამართლზომიერი ქმედებების რისკებს შეიცავს“.

გარდა ამისა, აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ იურიდიულ პირებში, შრომითი ხელშეკრულებებით არ არის განსაზღვრული დასაქმებულთა კონკრეტული ფუნქციამოვალეობები, არ ფუნქციონირებს ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის სისტემა.

ხარვეზები ტრანსპორტის ხარჯებში

სახელმწიფოა აუდიტორების დასკვნის მიხედვით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველჰყოფს ავტოსატრანსპორტო და სპეციალური ტექნიკისათვის შეძენილი სათადარიგო ნაწილებისა და საწვავის მიზნობრივად ხარჯვის დოკუმენტურად დადასტურებას, რის გამოც სახელმწიფო მაკონტროლებლები ვერ დარწმუნდნენ 2021-2022 წლებში შესყიდული სათადარიგო ნაწილებისა და საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების აუცილებლობაში.

ამასთან, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის აუდიტით ისიც გაირკვა, რომ შიდა კონტროლის სისტემა სრულყოფილად ვერ უზრუნველჰყოფს მუნიციპალიტეტის ფინანსების მართვის სისტემის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობისა და ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობას.

რეკომენდაციები

მას შემდეგ, რაც ქობულეთის მუნიციპალიტეტში ხარვეზები და დარღვევები გამოავლინეს, სახელმწიფო აუდიტორებმა მათ გამოსასწორებლად გარკვეული რეკომენდაციებიც შეიმუშავეს. კერძოდ, ქობულეთის მუნიციპალიტეტმა არსებული ფაქტობრივი გარემოებების სიღრმისეული შესწავლისა და ანალიზის შედეგების შესაბამისად, უნდა უზრუნველჰყოს პროგრამების საბიუჯეტო პარამეტრების განსაზღვრა და მათი შესრულება. ამასთან, მნიშვნელოვანია საბიუჯეტო რესურსის დროული და ეფექტიანი გამოყენება, რაც შესაძლებელს გახდის მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას.

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ, საჯარო ქონების ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად, უნდა ჩაატაროს აქტივებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია, მუნიციპალური ქონების დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მატერიალური აქტივების შეფასება და ბალანსზე ასახვა. ამასთან, შეიმუშაოს კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველჰყოფს იჯარით გაცემული ქონების სრულად აღრიცხვას და საიჯარო ხელშეკრულებების პირობების შესრულების სათანადო მონიტორინგს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა დანერგოს შიდა კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველჰყოფს უნებართვო მშენებლობის პრევენციას, ასევე, მიმდინარე უნებართვო მშენებლობების დროულად გამოვლენას და სათანადო რეაგირებას. ამასთან, შეისწავლოს ქალაქის ტერიტორიაზე მიმდინარე უნებართვო მშენებლობების ფაქტები, განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები“.

გარდა ამისა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველჰყოფს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კომერციული იურიდიული სტრუქტურების საქმიანობის სათანადო ზედამხედველობით, მათი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვას. ამასთან, უნდა შეისწავლოს შრომის ანაზღაურების თვითნებურად გაზრდის ფაქტები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

რაც შეეხება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არსებულ ხარვეზებს, მათ გამოსასწორებლად, სახელმწიფო აუდიტორებმა ექვსი რეკომენდაცია შეიმუშავეს. პირველი რეკომენდაციით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა არსებული ფაქტობრივი გარემოებების სიღრმისეული შესწავლისა და ანალიზის შედეგების შესაბამისად, უნდა უზრუნველჰყოს პროგრამების საბიუჯეტო პარამეტრების განსაზღვრა და მათი შესრულება. ამასთან, მნიშვნელოვანია საბიუჯეტო რესურსის დროული და ეფექტიანი გამოყენება, რაც შესაძლებელს გახდის ახალი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

მეორე რეკომენდაციით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა შიდა კონტროლის ისეთი სისტემა უნდა შეიმუშაოს, რომელიც უზრუნველჰყოფს სარწმუნო და შესაფერისი ინფორმაციის შეგროვებასა და მის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადება– განხორციელებას.

მესამე რეკომენდაციით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა შიდა კონტროლის სისტემა ისე უნდა განავითაროს, რომ უზრუნველჰყოს საჯარო ფინანსების ხარჯვის რაციონალურობა და გამჭვირვალობა: „კერძოდ, უნდა გააძლიეროს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულებისა და მიმწოდებლებთან ანგარიშსწორების მონიტორინგი; უნდა დანერგოს საქონლის მიღება-ჩამოწერის წესი. ამასთან, უკვე გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, უნდა გაატაროს სათანადო ღონისძიებები“.

მეოთხე რეკომენდაციით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველჰყოფს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის სათანადოდ წარმართვას. ამასთან, შრომითი ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით, უზრუნველჰყოს დასაქმებულ პირთა ფუნქციების დეტალური გაწერა და დანერგოს ნამუშევარი საათების აღრიცხვის სისტემა, ხოლო თანხების მითვისებისა და არასწორად გაცემის ფაქტებზე, შესაბამისი ღონისძიებები უნდა გაატაროს.

მეხუთე რეკომენდაციით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა შიდა კონტროლის ისეთი სისტემა უნდა დანერგოს, რომელიც უზრუნველჰყოფს სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვის ხარჯების დასაბუთებულ და რაციონალურ ხარჯვას.

„სულ ბოლო, მეექვსე რეკომენდაციით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს და დანერგოს შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველჰყოფს პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას, ანალიზსა და შეფასებას. ამასთან, შიდა აუდიტის სამსახურმა, აუდიტის თემების შერჩევის დროს, ყურადღება უნდა გაამახვილოს მაღალი რისკის შემცველი საკითხების შესწავლაზე, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემასა და მათი შესრულების ეფექტიან მონიტორინგზე“.

სამართალი

№22 24 ივლისი 2024 წ

გინეკოლოგის მანიაკი ვაჟი

რატომ კლავდა ფეხმძიმეებს ახალგაზრდა მამაკაცი

ბათო ჯაფარიძე

მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში აბორტი აკრძალულია. საქართველოში გარკვეული შეზღუდვები კი დაწესდა, მაგრამ აკრძალვა მაინც არ შემოიღეს და ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, აკრძალვის შემთხვევაში, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ სადმე, ვინმე კუსტარულად მოაწყობს მცირე ზომის საოპერაციოს, სადაც აბორტს არალეგალურად გააკეთებს. ამის პრაქტიკა არსებობს იმ ქვეყნებში, სადაც აბორტი აკრძალეს და ამის პრაქტიკა არსებობდა საბჭთა კავშირშიც, როცა ორსულობა, თუ ის ქორწინებით არ იყო გამაგრებული, საშინელ სირცხვილად ითვლებოდა. სამწუხაროდ, ქალები საავადმყოფოში ვერ მიდიოდნენ და სოფლად თუ ქალაქად „აბორტმახერებს“ აკითხავდნენ. ალბათ, სტატისტიკურადაც არავინ იცის, რამდენი ქალის სიცოცხლე შეეწირა ასე, ჭუჭყიან სარდაფში გაკეთებულ აბორტს. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და, იყო პერიოდი, როცა აბორტს მხოლოდ იმიტომ იკეთებდნენ, რომ ნაყოფი გოგონა იყო, მამებს ბიჭი სურდათ და ბიჭის ძიებას არაერთი გოგონას სიცოცხლე ეწირებოდა. საბედნიეროდ, ახლა, უმრავლესობა მივიდა იმ აზრამდე, რომ შვილი შვილია და არ აქვს მნიშვნელობა, გოგო გაჩნდება თუ ბიჭი, მთავარია, ბავშვი ჯანმრთელი დაიბადოს და... იმ დემოგრაფიულ მდგომარეობაში, როგორშიც ჩვენ ვართ, აბორტი კი არა, რაც უფრო მეტ ბავშვს გააჩენენ ქართველები, მით უკეთესი.

მილიციის განყოფილებას ახალგაზრდა კაცმა მიაკითხა და განაცხადა, რომ მისი საცოლე დაიკარგა. მან ისიც დაადასტურა, ოფიციალური ცოლ-ქმარი ჯერ არ ვართ, მაგრამ ყველაფერი გადაწყვეტილია, ბავშვსაც ველოდებით და საცოლე სწორედ ექიმთან იყო კონსულტაციაზე წასული, იქიდან კი არ დაბრუნებულაო. ორსული ქალის გაუჩინარება არ იყო ჩვეულებრივი შემთხვევა, მით უმეტეს, რომ იმავე რაიონში, ერთი თვის წინ, გარდაცვლილი ქალი ნახეს, რომლის გაკვეთის შემდეგ, ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ მას აბორტი ჰქონდა გაკეთებული, თუმცა მაშინ ძალოვნებმა ვერც „აბორტმახერს“ მიაგნეს და ვერც – კლინიკას, სადაც ოპერაცია გაკეთდა. ამ შემთხვევის შემდეგ, ერთ-ერთ გოგონაზე განხორციელდა თავდასხმა, მაგრამ ის, საბედნიეროდ, გადარჩა და როცა ძალოვნები მის ამბავს იძიებდნენ, მეზობლებმა ამრეზით თქვეს, რას დასდევთ, ნეტავ მოეკლათ, უბანიც დაისვენებდა მაგ ბოზისგანო.

ჰოდა, სამართალდამცავების ნაწილი დაკარგული ქალის საძებნელად წავიდა, ორი თანამშრომელი კი იმ გოგოს სანახავად, რომელიც დაჭრეს და გადარჩა. კითხვა ერთადერთი იყო – ჰქონდა თუ არა მას თავდასხმამდე აბორტი გაკეთებული და თუ ჰქონდა, სად, რომელ კლინიკაში? გოგონამ თავიდა ყველაფერი უარყო, რა აბორტი, რა ბავშვიო, მაგრამ როცა აუხსნეს, რომ ექსპერტიზას ჩაუტარებდნენ და ყველაფერს მაინც დაადგენდნენ, თავი ჩაღუნა და განაცხადა, აბორტი გავიკეთე, კი იცით, რომელ კლინიკაშიც აკეთებენ ამას, მეტი არაფერი ვიცი, ვინ დამესხა თავს და რატომ, წარმოდგენა არ მაქვსო. ძალოვნებისთვის ესეც საკმარისი იყო.

კლინიკის გინეკოლოგმა დაადსტურა, რომ გოგონა მასთან კონსულტაციაზე მართლაც იყო, მაგრამ ნაყოფის მდგომარეობის ნაცვლად, იკითხა, რამდენად რეალური იყო ამ პერიოდში აბორტის გაკეთება.

„მე ვუთხარი, რომ ნაყოფი უკვე კარგად იყო გაზრდილი და აბორტის გაკეთება გამორიცხული იყო, რადგან დედის გადარჩენის პრობლემა დადგებოდა. ამის მიუხედავად მითხრა, ჩემს წინადადებაზე იფიქრე, ფული პრობლემა არ იქნებაო და შინ წავიდა. წარმოდგენა არ მაქვს, სად შეიძლება იყოს და რაც მთავარია, არცერთი ექიმი არ გარისკავს, ასეთ პერიოდში აბორტი გააკეთოს, რადგან დედის გადარჩენის შანსი, პრაქტიკულად, არ არსებობს“, – განაცხადა გინეკოლოგმა და დაადასტურა ისიც, რომ გადარჩენილ გოგოს აბორტი სწორედ მან გაუკეეთა და მისი ხელით მოშორდა ნაყოფი გოგოს, რომელიც მანამდე გარდაცვლილი იპოვეს.

„მკვლელს ამ კლინიკასთან რაღაც აკავშირებს, აქ არის, ჩვენს ცხვირწინ და ის აუცილებლად უნდა ვიპოვოთ. ახლა, ის გულმოკლული საქმრო დაჰკითხეთ ძალიან მკაცრად, რომანტიზმში რომ არის გადავარდნილი, აქაოდა, ძალიან ბედნიერი ვარო, მაგრამ მისი საცოლე, თურმე, აბორტზე ფიქრობდა“, – უთხრა გამომძიებელმა თანამშრომლებს.

საქმროს დაკითხვამ ბევრი არაფერი მოიტანა, ის ამტკიცებდა, გამორიცხულია, ჩემს საცოლეს აბორტზე ეფიქრა, ყველაზე ბედნიერები ვიყავით, ერთადერთი, ვინც წინააღმდეგი იყო, დედაჩემი გახლდათ, მაგრამ ეს პრობლემაც მოგვარდა, საცხოვრებლად ცალკე ვაპირებდით გადასვლას და რეალურად, სწორედ ბინის რემონტის გამო შევფერხდითო. დედა კი ბიჭს, საკმაოდ გავლენიანი ქალი ჰყავდა, კარგ თანამდებობაზე მუშაობდა, მაგრამ ეს არ იყო მთავარი – მისი აწ გარდაცვლილი მეუღლე „კანონიერი ქურდი“ იყო, უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა და გარდაცვალების შემდეგაც კი, მისი მეგობრები ოჯახს ყურადღებას აქცევდნენ და ამ ქალის ყველას ეშინოდა. გაჩნდა ვერსია, რომ შესაძლებელი იყო, სარძლო სწორედ დედის მითითებით გაექროთ.

„რა თქმა უნდა, წინააღმდეგი ვიყავი, ჩემი შვილი მეტს იმსახურებს, მაგრამ დამიჯერეთ, მე არ ვარ ცხოველი, რომ დაუბადებელი ბავშვი მოვკლა. ის ჩემი ქმრის მეგობრებმა, დაახლოებით, ორი თვის წინ ნახეს, დაშინება სცადეს, მაგრამ გოგონა მტკიცედ იდგა თავისაზე, არ დავშორდებიო და შევეშვი, ჩავთვალე, რომ ჩემი შვილი მართლა უყვარდა და გადავწყვიტე, არ ჩავრეულიყავი. ის ბინაც მე ვუყიდე და რემონტსაც მე ვუკეთებ, ასე, რომ სხვაგან ეძებთ, ძვირფასებო“, – ქალი გამოცდილი კრიმინალივით, მტკიცედ საუბრობდა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ სიმართლეს ამბობდა.

ამასობაში, ქალაქგარეთ, მეტყევემ ახალგაზრდა ქალის გვამი იპოვა. ამოცნობაზე ბიჭს დაუძახეს და მან გარდაცვლილში საცოლე იცნო. ხმა არ ამოუღია, მორგის შენობიდან გავიდა და გზას ლასლასით გაუყვა, ცოტა ხანში, დედამისმა სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოიძახა, ჩემმა შვილმა ვენები გადაიჭრა, მოდით, გადამირჩინეთო. ექიმებთან ერთად, ადგილზე ძალოვნებიც მალე გამოცხადდნენ და გაარკვიეს, რომ ბიჭი აუცილებლად გადარჩებოდა. მას საავადმყოფოში გაჰყვნენ და სამი საათის შემდეგ, დაკითხვაც მოახერხეს.

„დარწმუნებული ვარ, ჩემი საცოლე დედაჩემის მითითებით მოკლეს, სხვა ვერსია, უბრალოდ, არ არსებობს. ამიტომ, გადავწყვიტე თავი მომეკლა, აბა, დედას ხომ არ მოვკლავდი“, – მოკლედ მოჭრა ბიჭმა.

სამართალდამცავებმა მისი ჩვენების საფუძველზე დედა დააკავეს და იმის მიუხედავად, რომ მის წინააღმდეგ ჩვენებას შვილი აძლევდა, ქალი მაინც ამაყი და მშვიდი იყო.

„ცხოვრებაში ყველაფერი მინახავს და დამიჯერეთ, ვერაფრით გამაოცებთ. ახლა მომიყევით, თქვენ რა ვერსიები გაქვთ, ჩემს გარდა და საქმეს მე გაგიხსნით. ჩემი ქმრის გადამკიდე, ათას რამეზე მიწევდა ფიქრი, ზუსტად ვიცი, დამნაშავეები როგორ იქცევიან, სად უშვებენ შეცდომებს და ჩემი თანამშრომლობა თქვენთან ეგ იქნება. მეც მინდა, ორსული ქალის მკვლელი უმკაცრესად რომ დაისაჯოს“, – განაცხადა ქალმა და... გამომძიებელმაც საკუთარი ვერსიები გააცნო, ისიც უთხრა, რომ ეს პირველი მსხვერპლი არ არის, ისიც, რომ ერთი გოგონა გადარჩა, ისიც, რომ სამივე კვალი კონკრეტულ კლინიკაში და კონკრეტულ გინეკოლოგთან მიდიოდა...

„ის უბედური გოგო ვიცი, რომელიც დაჭრეს. აერია მაგას გზა-კვალი, არც პატრონი ჰყავს, არც ჭკუის დამრიგებელი. ყველასი და ყველაფრის ეშინია, კაცებთან შიშის გამოა და არა სიყვარულის, ან გამორჩენის, ვიღაც დაუღრიალებს და ეს თავდახრილი მიჰყვება. ჰოდა, რატომღაც მგონია, რომ მან თავდამსხმელი დაინახა, ზუსტად იცის, ვინ უპირებდა მოკვლას, მაგრამ ეშინია და ჩუმად არის. თუ თქვენ ვერ ათქმევინებთ, მე დამავალეთ და ჩემი ბიჭები ნახევარ საათში ყველაფერს დააფრქვევინებენ“, – განაცხადა ქალმა.

გამომძიებელმა დაჭრილი და გადარჩენილი გოგოს განყოფილებაში მიყვანის განკარგულება გასცა. ის აშკარად შეშინებული იყო, მთელი სხეული უკანკალებდა და მის დასამშვიდებლად ერთი საათი და ექიმების ჩარევა გახდა საჭირო. მერე კი, გამომძიებელმა დაარწმუნა, რომ მას არანაირი საფრთხე არ დაემუქრებოდა და თუ თავდამსხმელს დაასახელებდა, არა მარტო მას, არამედ, მის მეგობრებსაც დააკავებდა, შური რომ ვერავის ეძია და გოგონამაც ამოილუღლუღა – „გინეკოლოგის შვილი მკლავდა!“ გამომძიებელმა მის დასაკავებლად ოპერჯგუფი გაგზავნა, მაგრამ... წინა დღეს, ის ბელორუსში წასულა და დედამ არ იცოდა, როდის დაბრუნდებოდა, ან დაბრუნდებოდა თუ არა საერთოდ.

„მას გოგო უყვარდა, მისგან ბავშვსაც ელოდებოდა, მაგრამ ბოლო მომენტში, გოგონამ გათხოვება გადაიფიქრა, აბორტი გაიკეთა და მას შემდეგ, მათ, ვინც აბორტს იკეთებდა, მკვლელებს ეძახდა. ჩემთან მუშაობდა და სავარაუდოდ, ჟურნალში ნახულობდა, ვინ იკეთებდა აბორტს“, – განაცხადა გინეკოლოგმა და რაღა თქმა უნდა, სამსახურიდან წასვლაზე განცხადება დაწერა.

ქართველი ძალოვნების მოთხოვნით, ეჭვმიტანილი ბელორუსში დააკავეს, მაგრამ... მოსკოვში გაასამართლეს და როგორც ამბობენ, 15 წელი მიუსაჯეს, თუმცა ბევრი იმასაც ამბობდა, ის საერთოდ არ დაუკავებიათ, დაკითხეს და გაუშვესო. ჰო, გინეკოლოგი რუსი გენერლის ქვრივი იყო, რომელიც საქართველოში გარდაიცვალა და დედა-შვილმა აქ ცხოვრება გადაწყვიტეს.

უშიშროების თანამშრომლის გათამაშებული სიკვდილი

ვინ არის ქალი, რომლის საქმესაც გრიფით „საიდუმლო“ დაადეს

ბათო ჯაფარიძე

„გრიფით საიდუმლო“ – ასეთი წარწერა საბჭოთა კავშირის დროს არაერთ დოკუმენტს ჰქონდა, თუმცა ახლაც გვხვდება საქმეები, რომლებსაც საიდუმლო გრიფი ადევს. ძირითადად, იმ საქმეებს, სახელმწიფო საიდუმლოებას, ფინანსების იმ მოძრაობას, რომლითაც სამხედრო ტექნიკას, ან იარაღს ყიდულობს ხელისუფლება. საიდუმლო გრიფი აქვს კონკრეტულ დანაშაულებსაც, როცა მაგალითად, უცხო ქვეყნის აგენტს აკავებენ, ან პირიქით – სხვა ქვეყანაში აკავებენ აგენტს და აქ ცდილობენ ისე წარმოაჩნონ სიტუაცია, თითქოს კონკრეტული პირი სხვა დანაშაულისთვის დააკავეს. ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, სწორედ გრიფით საიდუმლო ედო, რადგან საქმე უშიშროების თანამშრომელს ეხებოდა. ყველაფერი კი, უცნაურად და ცოტა არ იყოს, გაუგებრად დაიწყო.

მილიციის განყოფილებაში ასაკოვანი ქალი მივიდა და განაცხადა, რომ მისი საქმრო მოკლეს. ქალი 60 წელს იყო მიღწეული, პატარა, ოთახის ძაღლი ჰყავდა ახუტებული და ცრემლად იღვრებოდა. სამართალდამცავებმა ყურადღებით მოუსმინეს და გაარკვიეს, რომ ქალი საქმროსთან მივიდა, სურდა, მისთვის სიურპრიზი გაეკეთებინა, ის კი სამზარეულოში ეგდო, მკერდი სისხლით ჰქონდა მოსვრილი, ვიღაც კაცი კი სურათებს უღებდა. მერე ამ კაცმა აკივლებულ ქალს მილიციის თანამშრომლის საბუთი ააფარა თვალებზე და განუცხადა, გამოძიებას ხელს ნუ შეუშლითო და გარეთ გაისტუმრა. დაბნეული ქალი ეზოში ჩავიდა, არ იცოდა, რა გაეკეთებინა, დაახლოებით, ნახევარ საათში უკან აბრუნდა და... სახლში არც საქმრო დახვდა, არც ძალოვანი უწყების თანამშრომელი და რაც მთავარია, სამზარეულოშიც ყველაფერი ისე იყო, თითქოს არაფერი მომხდარა. მეტიც, თუ პირველ ჯერზე, ქალს კარი ღია დახვდა, ახლა გასაღებით იყო დაკეტილი, მაგრამ მას მეორე გასაღები ჰქონდა და ბინაში სწორედ ამ გასაღებით შევიდა.

გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს – ისტორია ცოტა დაუჯერებელი იყო, მაგრამ იძლებულნი იყვნენ, ქალს გაჰყოლოდნენ და ორი ოპერმუშაკი, ექსპერტთან ერთად გაჰყვა კიდეც. როცა ბინაში მივიდნენ და მისი მეპატრონის ვინაობა გაარკვიეს, ოპერებმა სასწრაფოდ განყოფიელბაში დარეკეს და ადგილზე უკვე ათამდე ძალოვანი მივიდა, ქალი კი დასაკითხად წაიყვანეს.

„თქვენი საქმრო უშიშროების ყოფილი თანამშრომელია, პენსიაზეა გასული და ახლა დალაგებულად მოგვიყევით, რატომ ეძახით საქმროს, ხომ არ გახსოვთ იმ თანამშორმლის სახელი ან გვარი, რომელმაც საბუთი გაჩვენათ და საერთოდ, რატომ მიხვედით დღეს“, – გამომძიებლები აშკარად სერიოზულად იყვნენ განწყობილნი, რადგან უშიშროების ყოფილი თანამშრომელი, ვისზეც ქალი საუბრობდა, საგარეო საქმეების განყოფილებაში მუშაობდა, რაც იმას ნიშნავს, რომ წვდომა ბევრ საიდუმლო დოკუმენტთან ჰქონდა და ახლა, ასეთი უცნაური ამბავი უშიშროებას შეშფოთების საფუძველს ნამდვილად აძლევდა.

ქალმა კი იცოდა, რომ მისი რჩეული ყოფილი ძალოვანი იყო, მაგრამ თუ უშიშროებაში მუშაობდა და საქმე საიდუმლო დოკუმენტებთან ჰქონდა, წარმოდგენაც არ ჰქონდა.

„ჩვენ ერთმანეთი სკვერში გავიცანით. მე ძაღლს ვასეირნებდი, ის მარტო იყო. მერე გავარკვიეთ, რომ მეც ქვრივი ვარ და ისიც. შემდეგ, სახლში დამპატიჟა ჩაიზე. მოგეხსენებათ, მარტოხელა კაცის ამბავი, ამიტომ სახლი დავულაგე, ჩაი მოვადუღე და დავპირდი, რომ მეორე დღეს სადილსაც გავუმზადებდი. ასეც მოვიქეცი, ნელ-ნელა დავუახლოვდით და გადავწყვიტეთ, ერთად გვეცხოვრა, ოღონდ მე პატიოსანი ქალი ვარ, ამიტომ სანამ ხელს არ მოვაწერდით, მასთან საცხოვრებლად ვერ გადავდიოდი. ხელმოწერა მომავალი კვირისთვის გქვონდა დაგეგმილი, რამდენიმე მეგობარიც კი დავპატიჟეთ, მაგრამ ახლა არ ვიცი, რა იქნება და როგორ იქნება“, – განაცხადა ქალმა.

ყოველი შემთხვევისთვის, უშიშროების თანამშრომლებმა ქალიც გადაამოწმეს, შემთხვევით, მოგზავნილი ხომ არ იყო, ან მის უკან სხვა ქვეყნის სპეცსამსახურები ხომ არ იდგნენ, მაგრამ ამაზე მინიშნებაც ვერ იპოვეს. სამაგიეროდ, ქალი საკმაოდ დაკვირვებული აღმოჩნდა და განაცხადა, იმ თანამშრომელს, რომელმაც სახეზე საბუთი ამაფარა, აუცილებლად ვიცნობ და თანამშრომლების სიას თუ მანახებთ, მარტივად მივხვდებიო. აბა, მაშინ კომპიუტერები არ არსებობდა, პირად საქმეებში კი არ იყო ისეთი ფოტოები, ერთი შეხედვით გეცნო, ამიტომ ხელი ჩაიქნიეს, მაგრამ...

„კიდევ... იმ თანამშრომელს, ნეკა თითზე ფრჩხილი ჰქონდა გაფუჭებული ანუ თითი კი არ აკლდა, ფრჩხილი ჰქონდა დაზიანებული და ეს არ იყო ახალი ჭრილობა, ალბათ, სულ ასე აქვს“, – განაცხადა ქალმა, რაც უკვე სერიოზული მინიშნება იყო.

სანამ უშიროების სამინისტროს თანამშრომლები პირად საქმეებში იქექებოდნენ, შს სამინისტროს მუშაკებმა ერთმანეთში მოიკითხეს და მალევე გაარკვიეს, რომ მათი კოლეგა, რომელსაც ნეკა თითზე ფრჩხილი ჰქონდა დაზიანებული, მოქმედი პოლკოვნიკი იყო. მისი პირადი საქმიდან სურათი ამოიღეს, კიდევ სამ, სხვა სურათთან ერთად დადეს და ქალს ჰკითხეს, თუ ამოიცნობ, რომელიაო. ქალმა ხელი პოლკოვნიკის სურათს დაუფიქრებლად დაადო. რა თქმა უნდა, სამართალდამცავები პოლკოვნიკის სახლისკენ გაემართნენ, თუმცა...

„პოლკოვნიკი საღამოს მეგობართან ერთად მოვიდა, დილით კი ისევ ერთად გავიდნენ და მას შემდეგ აღარ მინახავს“, – უთხრა სამართალდამცავებს პოლკოვნიკის მეუღლემ და როცა უშიშროების თანამშრომლის ფოტო უჩვენეს, მასზე მისი მეუღლის მეგობარი და წუხანდელი სტუმარი ამოიცნო. ამ ინფორმაციამ ძალოვნები საერთოდ დააბნია, ვერავინ ხვდებოდა, რა მოხდა, რატომ მოხდა, ან სად იყვნენ ახლა უშიშროების ყოფილი თანამშრომელი და მოქმედი პოლკოვნიკი? ზემდგომებს ინფორმაცია აინტერესებდათ, ითხოვდნენ, ორივე თუ არა, ერთ-ერთი მათგანი მაინც სასწრაფოდ მოეძებნათ, მაგრამ ეს მარტივი რომ არ იქნებოდა, თავადაც ხვდებოდნენ. ყოველი შემთხვევისთვის, გააძლიერეს თვალთვალი რკინიგზის სადგურებზე, აეროპორტში, საზღვარზე, მაგრამ ისინი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო, ორი ძალოვანი, უბრალოდ, გაქრა.

„არა, ჩემს ქმარს სახლიდან ფული არ წაუღია, დანაზოგი რაც გვაქვს, ცოტა ბანკშია, ცოტაც სახლში, მაგრამ საბანკო წიგნაკიც აქაა და არც სახლში არსებულ დანაზოგს აკლია. ჩვეულებრივად, დღიური ფული წაიღო, ალბათ, 20-30 მანეთი“, – თქვა პოლკოვნიკის ცოლმა და უშიშროების ყოფილი თანამშრომლის სახლშიც ნახეს ცოტა დანაზოგი, ცოტა ფული ბანკში ანუ ისინი უფულოდ იყვნენ წასულნი და წესით, თანხა მალე უნდა დასჭირვებოდათ, რადგან კვებისა და ტრანსპორტის გარდა, ელემენტარულად, ღამის გასათევიც სჭირდებოდათ. უშიშროებამ უმკაცრესად გააფრთხილა მაათი ყველა მეგობარი, რომ გამოჩენის შემთხვევაში, აუცილებლად ეცნობებინათ ორგანოებისთვის, მაგრამ ისინი არსად ჩანდნენ. რა თქმა უნდა, მათ ძალიან, ძალიან კარგად იცოდნენ, როგორ უნდა დამალულიყვნენ, იცოდნენ, სად და როგორ დაძებნიდა მათ უშიშროების სამინისტრო თუ შსს. მესამე დღეს, პოლკოვნიკი შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოცხადდა, უშიშროების კომიტეტს კი, მისმა მეგობარმა მიაკითხა. ორივეს ჩვენება გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს და მათი მონაყოლის შემდეგ, სპეცოპერაცია სწორედ უშიშროებამ დაგეგმა.

„სანამ პენსიაზე გავიდოდი, ჩვენმა ყოფილმა თანამშრომელმა არქივიდან დოკუმენტები მოიპარა, შემდეგ კი მოახერხა და ქვეყნიდან გავიდა. ამის ერთადერთი მოწმე მე ვარ, ჩვენებაც მიცემული მაქვს, მაგრამ ერთია ჩვენება და მეორე – ცოცხალი მოწმე. ახლა, ეს ქალი, პოლკოვნიკზე გავიდა, მისი თანაკლასელია და სთხოვა, ჩემს მოშორებაში დახმარებოდა, სამაგიეროდ, დიდ ფულს გადაუხდიდა და ამ ფულს საბჭოთა კავშირის შუა აზიური რესპუბლიკებიდან ერთ-ერთში გადასცემდა. მეგობრებმა გადავწყვიტეთ, ჩვენით მოგვეგვარებინა ყველაფერი და ამიტომ, ქალისთვის ყალბი სურათების გაგზავნა გვინდოდა, მერე კი, ის შუა აზიაში უნდა დაგვეკავებინა. ჰოდა, როცა პოლკოვნიკი სურათებს მიღებდა, საიდანღაც ჩემი მომავალი მეუღლე გამოგვეცხადა და როგორც ჩანს, ყველაფერი ჩაგვიშალა. სურათები გავაგზავნეთ, ახლა მისგან სიგნალს ველოდებით“, – ასეთი იყო მეგობრების მონაყოლი.

დაახლოებით, ორ კვირაში, ქალი პოლკოვნიკთან კავშირზე კვლავ გავიდა და მზად იყო, მას ტაჯიკეთში შეხვედროდა, სადაც ფულს გადასცემდა. რა თქმა უნდა, სპეცოპერაცია დაიგეგმა, მაგრამ ეს იყო არა მარტო ქართული, არამედ საბჭოთა უშიშროების კრახი. იმის მიუხედავად, რომ ვითომ მოკლულ უშიშროების თანამშრომელს საგულდაგულოდ მალავდნენ, პოლკოვნიკს, ფულის ნაცვლად, სამალავში სწორედ ის ფოტოები დაუტოვეს, რომელიც კონსპირაციულ ბინაზე იყო გადაღებული. მერე და მერე, სპეცოპერაციის გაანალიზებისას, ქართველმა ძალოვნებმა აღიარეს, რომ უშიშროების ყოფილი თანამშრომლისთვის ყალბი გასვენებაც უნდა მოეწყოთ, მაგრამ ვერ გათვალეს, რომ ქალი, შესაძლოა, ასე ჭკვიანი ყოფილიყო. საბოლოო ჯამში, ქალბატონი ვერ დააკავეს, თუმცა საქმეს გრიფით საიდუმლო დაადეს და... არც არაფერი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ვისაც არ ეზარებოდა, არა მარტო ასეთ საქმეებს კითხულობდა, არამედ, იმ აგენტების სიასაც აბულბულებდა, რომელსაც საბჭოთა „კა გე ბე“ ძალიან უფრთხილდებოდა.

ბათო ჯაფარიძე

თმის შეჭრა – პროცედურა, რომელსაც ყველა მიმართავს (ბოლომდე გამელოტებული კაცების გარდა) და შესაბამისად, ყველა ცდილობს, რომ თავისი სტილისტი ჰყავდეს, რომელსაც ყოველ მისვლაზე არ აუხსნის, რა და როგორ უნდა... ამიტომ, სტილისტებს მუდმივი კლიენტები ჰყავთ, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ საქმეს კარგად ასრულებენ, თორემ დამწყებებს ბაზარზე შესვლა და დამკვიდრება უჭირთ, რადგან კონკურენცია დიდია და სანამ ვინმეს დააჯერებ, რომ თმის შეჭრა მაღალ დონეზე შეგიძლია, დრო გადის. ჰო, თმას განსაკუთრებით ქალები უვლიან და ამიტომაც, სილამაზის სალონებს ისინი უფრო ხშირად სტუმრობენ...

როგორ უღალატა დაქალმა დაქალს



პროვინციულ სალონში მომხდარი სასიყვარულო დრამა

ამბავი, რომელსაც ახლა გიამბობთ, არცთუ დიდი ხნის წინ მოხდა. თბილისთან ახლოს, ერთ, არაფრით გამორჩეულ სალონში ორი გოგონა მუშაობდა, ორივეს თავისი კლიენტი ჰყავდა და რაც მთავარია, ისინი ერთმანეთის კონკურენტები არ იყვნენ – ერთს თმის შეჭრა ეხერხებოდა საოცრად, მეორე კი თმას ღებავდა, ვარცხნიდა, ასწორებდა, ახვევდა და მუშტარი არცერთს აკლდა. საქმე კარგად მიდიოდა, გოგონები ნაქირავებ ფართს უვლიდნენ, მეპატრონეს ფულს დროულად უხდიდნენ და იმაზე მსჯელობდნენ, ეგებ, სადმე ჩვენი ფართი ავიღოთ, ქირის ფული ბანკში გადავიხადოთ, კრედიტი გამოვიტანოთ და ბოლოს ფართი შეგვრჩებაო. ჰოდა, ამ მსჯელობაში რომ იყვნენ, მოხდა რაღაც, რამაც მათი გეგმები თავდაყირა დააყენა. ის გოგო, რომელიც მხოლოდ თმის შეჭრაზე მუშაობდა, სალონში მარტო იმყოფებოდა, მეორე ორი დღით მშობლებთან, სოფელში იყო წასული. ამ დროს სალონში ახალგაზრდა ქალი შევიდა, მაგიდიდან მაკრატელი აიღო, გოგონას მიუახლოვა, მთელი ძალით მოიქნია მაკრატელი და მკლავში ჩაარჭო, გასვლისას კი გოგოს მიაძახა, ახლა გეცოდინება, რომ სხვისი ქმრების ლოგინში არ უნდა იკოტრიალოო. გოგონამ სასწრაფო და პოლიცია ერთად გამოიძახა.

„მე საქმრო მყავს, მაგრამ გადაჭრით შემიძლია იმის თქმა, რომ ის უცოლოა. მის მშობლებს ვიცნობ, ის ჩემებს იცნობს და არ მგონია, იმ დონის უნამუსო იყოს, რომ ცოლი ჰყავდეს და მე არ მეუბნებოდეს. მით უმეტეს, ორ თვეში ქორწილსაც ვაპირებთ და თუ ცოლი ჰყავს, ხომ უნდა ხვდებოდეს, რომ ხელმოწერას ვერ მოვახერხებთ? რაც შეეხება ლოგინში კოტრიალს, ეგეც ტყუილია, ნებისმიერ ექიმთან შემამოწმეთ, მე მამაკაცთან ურთიერთობა არასდროს მქონია. კი, ჩემს საქმროს ვკოცნი, ვსეირნობთ, ერთმანეთს ვეხუტებით, მაგრამ ლოგინში კოტრიალი სხვა რამ არის და ქორწილამდე ჩემთვის ყველაფერი ეს წარმოუდგენელია. ის ქალი პირველად ვნახე, არ ვიცი, ვინ არის და რა უნდოდა“, – განაცხადა დაზარალებულმა.

პოლიციის სამწუხაროდ, სილამაზის სალონი ვიდეოთვალით არ იყო აღჭურვილი და შესაბამისად, თავდამსხმელის იდენტიფიცირება მარტივი არ იქნებოდა, მაგრამ ძიება მაინც დაიწყო და ძალოვნებს იმედი ჰქონდათ, რომ სატელეფონო ანტენებით მოახერხებდნენ თავდამსხმელის პოვნას. არც ამან გაამართლა – ისე ჩანდა, რომ თავდამსხმელი სალონში მობილურის გარეშე იყო მისული ანუ ყველაფერი გათვლილი ჰქონდა.

მესამე დღეს, გოგონამ პოლიციაში ისევ დარეკა და განაცხადა, რომ დილით, სახლიდან გამოსულს, ავტომობილის საბურავი გაჭრილი ხვდება. პირველ ჯერზე, ამას ყურადღება არ მიაქცია, მეორედაც რომ იგივე მოხდა, უკვე პოლიცია ჩააყენა საქმის კურსში. სამართალდამცავებს ბევრი არ უფიქრიათ, იმავე საღამოს ჩასაფრება მოაწყვეს და ღამის 2 საათზე, როცა საბურავის გასაჭრელად მამაკაცის სილუეტი დაიხარა, მოქმედება დაიწყეს. კაცი ადგილზე მარტივად დააკავეს და ის გოგონას მეზობელი აღმოჩნდა, რომელიც თურმე, ჯიუტად ამტკიცებდა, ის ადგილი, სადაც ეს გოგო აყენებს მანქანას, ჩემი უნდა იყოს და სანამ არ მოაშორებს, საბურავებს დავუჭრიო. ყოველ შემთხვევაში, გეგმა ასეთი იყო, მაგრამ არაფერი გამოვიდა, რადგან მან სამართალდამცავებისგან უმკაცრესი გაფრთხილება მიიღო, კიდევ ერთი ასეთი ფაქტი და ციხე არ აგცდებაო. სამაგიეროდ, იმ კაცს საერთო არაფერი ჰქონდა სალონში მომხდარ თავდასხმასთან.

სანამ გამოძიება ქალის ძებნით იყო დაკავებული, გოგონა ისევ მათთან მივიდა და განაცხადა, რომ საქმრო დაშორდა, ნიშნობის ბეჭედი უკან წაიღო და მიზეზად ის დაასახელა, თურმე, მას ცოლიან მამაკაცთან ჰქონდა რომანი და ამის შესახებ საქმროს უმალავდა. ბიჭი დაბეჯითებით ამბობდა, რომ უტყუარი ინფორმაცია ჰქონდა და უეჭველად იცოდა სიმართლე, თუმცა წუხდა, აქამდე თავად რომ ვერ მიხვდა, სინამდვილეში ვისთან ჰქონდა საქმე. რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა მისი დაკითხვა გადაწყვიტეს და მართალია, თავიდან ბიჭი ჯიუტობდა, ჩემს წყაროს ვერ გავცემო, მაგრამ მერე გამოტყდა, რომ წყარო არ ჰქონია, რომ დილით, ვიღაცამ მანქანის საქარე მინასთან დაახვედრა წერილი, სადაც ეწერა, რომ მას საცოლე დაოჯახებულ კაცთან ღალატობდა, რომ ამის გამო, მისმა ცოლმა დაჭრა, რომ ხელში მაკრატელი ჩაარტყა. ესეც ადგილზე მივიდა, საცოლის შეხვეული ხელი დაინახა, ჰკითხა, რა მოგვიდაო და...

„არ მინდოდა, რომ ენერვიულა და ამიტომ, ვუთხარი, თითქოს მავთულის ღობეს გავედე ცუდად და გამეკაწრა. ამან კიდევ, ყვირილი ატეხა, მიმალავ, სინამდვილეში, შენი საყვარლის ცოლმა დაგჭრაო და რა უნდა მეთქვა, ნიშნობის ბეჭედი წამაძრო თითიდან და გაიქცა“, – უთხრა სამართალდამცავებს გოგონამ. საქმროს არაფრის გაგონება სურდა, ის ბოლომდე დარწმუნებული იყო, რომ გააცურეს და ცოლად მოჰყავდა ქალი, რომელიც საყვარლებს ხელთათმანებივით იცვლიდა. ამიტომ, დამნაშავის პოვნა აუცილებელი იყო, სიმართლე რომ გაერკვიათ, რადგან გამომძიებლებს სჯეროდათ, რომ გოგო არ იტყუებოდა და სჯეროდათ იმის, რომ ის ქალიშვილი იყო, რადგან დაბეჯითებით იმეორებდა, ნებისმიერ ექსპერტთან და ექიმთან წამიყვანეთო.

საინტერესო ის გახლდათ, რომ გამოძიებას (მისდა სამწუხაროდ), თავში არ მოსვლია, გოგონას მეგობარი დაეკითხათ, ის, რომელიც თმის შეღებვისა და ვარცხნილობის გაკეთების სპეციალისტი იყო. ხომ არსებობდა იმის შესაძლებლობა, რომ თავდამსხმელს გოგონები არეოდა და სინამდვილეში, სწორედ იმ მეორესთან ყოფილიყო მისული, ხელში კი სულ სხვა შერჩა. გოგონამ მხრები აიჩეჩა, რა საყვარელი და ცოლიანი კაცი, ერთი სული მაქვს, იმდენი თანხა შევაგროვო, მშობლებს სოფელში სახლი გადავუხურო, რომ არ აწვიმდეთ და ათოვდეთ, ამიტომ, ღამის 24-საათიან რეჟიმზე ვარ გადასული, კლიენტებს სახლებშიც კი ვაკითხავ და იქ ვღებავ, როცა მოსვლას ვერ ახერხებენ და ხანდახან ღამის თენებაც კი მიწევსო. ამის მიუხედავად, სამართალდამცავებს გოგონას ნაამბობში რაღაც არ მოეწონათ, თითქოს ის ზედმეტად ნერვიულობდა, თითქოს რაღაცას მალავდა, ამიტომ მასზე თვალთვალი დააწესეს. იმავე საღამოს, ის სკვერში ვიღაც კაცს შეხვდა, კარგა ხანს ეკამათა, შემდეგ კი, შინ წავიდა. ორი ოპერმუშაკიდან ერთი კაცს გაჰყვა, მეორე – გოგონას. მამაკაცი შინ წავიდა და ცოტა ხანში, ძალოვნებმა მისი ვინაობა იცოდნენ. მას ცოლ-შვილი ჰყავდა და ცოლის ფოტოს მოპოვება პრობლემას არ წარმოადგენდა.

„ღმერთო ჩემო, ეს არის, სწორედ ეს“, – სულმოუთქმელად თქვა დაზარალებულმა გოგომ, თვალბზე ხელი აიფარა და ატირდა, ახლა მაინც ხომ გაირკვევა სიმართლე, ბოლოს და ბოლოს, მაგის ქმარი დამაპირისპირეთ, წესით, არც უნდა ვიცნობდეო, მაგრამ როგორც კი ქმრის ფოტო აჩვენეს, თავი დაიქნია, ჩვენი კლიენტია, უფრო სწორედ ჩემი, რადგან მხოლოდ თმას იკრეჭს, აბა, ხომ არ შეიღებავსო და... ისიც თქვა, მეეჭვება, ჩემს მეგობარს იცნობდეს, ერთმანეთს არც კი ელაპარაკებიანო. ახლა საინტერესო ის იყო, რას იტყოდა თავდამსხმელი ქალი და ის განყოფილებაში უცერემონიოდ მიიყვანეს. მერე რა, რომ მთელი გზა ბოლო ხმაზე ყვიროდა, იმ ბოზის გამო არ დამიჭიროთ, ინანებთო.

„დიახ, მე დავარტყი მაკრატელი ქალს, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ქმარი წამართვას. ის, რომ ჩემი ქმარი მასთან დადის, მისმა მეგობარმა მითხრა. უფრო სწორედ, მე მითხრეს, რომ ჩემს ქმარს იმ სალონში საყვარელი ჰყავდა, არ ვიცოდი, რომელი გოგო იყო, ამიტომ როცა ერთ-ერთი დარჩა, შევედი და პირდაპირ ვკითხე, ჩემს ქმართან შენ კოტრიალობ-მეთქი? იმან თავი დახარა და მიპასუხა, თქვენი მესმის, სულ ვეუბნები ჩემს დაქალს, რომ არასწორი საქციელია, მაგრამ არ მიჯერებსო. მერე, ის დაქალი ვნახე და კი მიიღო საკადრისი“, – განაცხადა დაკავებულმა.

სამართალდამცავებისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. დაქალმა დაქალი გაიმეტა, თავად რომ გადარჩენილიყო, მაგრამ მერე, დაკითხვაზე თქვა, რას ვიფიქრებდი, თუ მაკრატლით დაჭრიდაო. ამ ისტორიაში, ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ დაზარალებული საქმროს აღარ შეურიგდა, მართალი ვიყავი და არ დამიჯერე, ასეთი ქმარი კიდევ მე არ მჭირდებაო.

შინაგან საქმეთა მინისტრი სამეგრელოში განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ბაზას ეწვია

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური, მოადგილეებთან – იოსებ ჭელიძესთან, გიორგი ბუთხუზთან და ალექსანდრე დარახველიძესთან ერთად, სამეგრელოში, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ბაზას ეწვია.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ბაზის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, ასევე თანამშრომლების სამუშაო და საცხოვრებელი სივრცეები, სასადილო, ტექნიკა და აღჭურვილობა დაათვალიერა.

ვახტანგ გომელაური, მოადგილეებთან ერთად, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზეც იმყოფებოდა, სადაც განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს შეხვდა და გაესაუბრა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა მათგან ადგილზე არსებული მდგომარეობის, ასევე საჭიროებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო.

ვახტანგ გომელაურმა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს გაწეული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა.

ვახტანგ გომელაურმა სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დანაყოფების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა ზუგდიდში, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართა. შეხვედრას ესწრებოდნენ მინისტრის მოადგილეები – გიორგი ბუთხუზი და ალექსანდრე დარახველიძე.

შეხვედრაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა უწყების პრიორიტეტული მიმართულებები მიმოიხილა. ვახტანგ გომელაურმა სამუშაო თათბირზე რეგიონის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირებისგან დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გატარებული საპოლიციო და პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოისმინა. შეხვედრაზე საუბარი რეგიონში დანაშაულის სტატისტიკას და გახსნის მაჩვენებელს შეეხო.

ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს პოლიციელებისთვის, როგორც სოციალური, ისე – სამუშაო პირობების გაუმჯობესებას.

რეგიონში ვიზიტის ფარგლებში, ვახტანგ გომელაურმა, მოადგილეებთან ერთად, შეხვედრა გამართა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელ პირებთან და ამავე სამმართველოს თანამშრომლებთან.

ხელმძღვანელმა პირებმა შინაგან საქმეთა მინისტრს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და მათ სამოქმედო ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიმართულებით არსებულ ვითარებაზე ინფორმაცია მიაწოდეს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა, პატრულ-ინსპექტორებს ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით, რეგიონში ტურისტებისა და ადგილობრივი დამსვენებლებისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი დავალებები მისცა.

ვახტანგ გომელაურმა სამართალდამცველებს დანაშაულის პრევენციისთვის, ასევე რეგიონში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების დაცვისთვის მადლობა გადაუხადა.

პროკურატურამ ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე, სამ პირს ბრალი წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე, უცხო ქვეყნის – ერთ და საქართველოს ორ მოქალაქეს ბრალი წარუდგინა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა სხვისი კუთვნილი, კახეთის რეგიონში მდებარე 2 710 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის თაღლითურად დაუფლების მიზნით, ყალბი დოკუმენტები – უცხოენოვანი მინდობილობა და ნასყიდობის ხელშეკრულება დაამზადეს.

დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთ წევრზე მიწის ნაკვეთის გადაფორმების მიზნით, ბრალდებულებმა ყალბი დოკუმენტები საჯარო რეესტრში წარადგინეს, თუმცა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მყისიერი და ეფექტური რეაგირების შედეგად, განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 9-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში გამოძიება გრძელდება, დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების გამოვლენის და მხილების მიზნით.

პარლამენტმა გენერალური პროკურორის თანამდებობაზე გიორგი გაბიტაშვილი დაამტკიცა

საქართველოს პარლამენტმა, გენერალური პროკურორის თანამდებობაზე, გიორგი გაბიტაშვილის კანდიდატურას 80 ხმით არცერთის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა.

კენჭისყრამდე, გიორგი გაბიტაშვილს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტზე მოუსმინეს, სადაც გენერალური პროკურორობის კანდიდატმა უწყების განვითარების შესახებ საკუთარი ხედვები წარადგინა და დეპუტატების კითხვებს გასცა პასუხი.

ახალი გენერალური პროკურორი 6 წლის ვადით აირჩიეს.

გიორგი გაბიტაშვილს პროკურატურაში მუშაობის 18-წლიანი გამოცდილება აქვს, აქედან 11 წელი გენერალური პროკურორის მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

გიორგი გაბიტაშვილი საპროკურორო საბჭოს აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა, რომლებიც იმავდროულად პროკურორები არიან და არასამთავრობო ორგანიზაცია – „სამართლებრივი სისტემის განვითარების კვლევითმა ცენტრმა“ წარუდგინეს; ასევე გიორგი გაბიტაშვილს მხარდაჭერა საქართველოს პროკურატურის 463-მა პროკურორმა და გამომძიებელმა გამოუცხადა.

გენერალური პროკურორის პოზიციაზე, გიორგი გაბიტაშვილის კანდიდატურა საპროკურორო საბჭოში 11 ივლისს გამართული კენჭისყრის შედეგად შეირჩა. მას მხარი საბჭოს 11-მა წევრმა დაუჭირა.

პროკურატურამ მსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი დააკავა

საქართველოს პროკურატურამ ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევის ფაქტზე, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი დააკავა.

საქმეზე ამ დროისთვის ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 19 ივლისს, დაახლოებით, 04:35 საათზე, თბილისში, რ.დ., მისი მართვის ქვეშ მყოფი მოტოციკლით, გადაჭარბებული სიჩქარით გადაადგილდებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოსთხოვეს გაჩერება, რასაც იგი არ დაემორჩილა და განაგრძო მოძრაობა ალექსანდრე ყაზბეგის გამზირის მიმართულებით, რა დროსაც შეეჯახა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით მოძრავ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლის მართვის ქვეშ მყოფ ავტომობილს. მოტოციკლის მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა.

დაკავებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით წარედგინება, რაც სასჯელის სახედ და ზომად 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან საპოლიციო ღონისძიების, დევნის პროცესში შესაძლო დანაშაულის ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

„გაფარჩაკება“ – ეს დაემართა თბილისის „დინამოს“

ძველი თაობის წარმომადგენლები იხსენებენ, თბილისის „დინამო“ სეზონის წინ მზადებას რომ იწყებდა, თურქული, უზბეკური, ყაზახური, მოლდოვური კლუბები ეხვეწებოდნენ ამხანაგურ მატჩებს და არ თანხმდებოდა, რადგან ასტრონომიული ანგარიშით უგებდა და მათთან სპარინგი არაფერს აძლევდაო. ახლა, თუნდაც თურქეთზე რომ ვთქვათ, აგერ, „ფენერბაჰჩემ“ მთავარ მწვრთნელად ჟოზე მაურინიო მიიწვია და წლიურ ჯამაგირად 21 მილიონ დოლარსაც უხდის... ირგვლივ ყველა განვითარდა, ყველა წინ წავიდა, ქართულ საკლუბო ფეხბურთს კი არაფერი ეშველა.

უკვე მერამდენედ, „დინამო“ ყველასთვის უცნობ კლუბებს, ისეთებს, საუკუნეში ერთხელ რომ გადიან ევროთასების საკვალიფიკაციო ეტაპზე, ისტორიას უწერს და ჯერ შეხვედრას აგებს, მერე კი, ორ-რაუნდიან დუელში მარცხდება. ამჯერად, თბილისურმა კლუბმა მონტენეგროს „მონრარს“ დაუწერა ისტორია. ეს კლუბი ევროთასებზე პირველად გავიდა, შინ 2:1 მოიგო და ნამატჩევს, მთავარმა მწვრთნელმა თქვა, ქართულ გრანდს მოვუგეთ, ვიცი, თბილისში ცუდი დღე დაგვადგება, მაგრამ მაინც გახარებულები ვართო. თბილისში კი... „დინამომ“ 1:1 ითამაშა და შემდეგ ეტაპზე „მონრარი“ გავიდა.

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოვარდა და კონფერენს ლიგაზე ითამაშებს საქართველოს მოქმედი ჩემპიონი ბათუმის „დინამო“. აჭარლებმა ბულგარულ „ლუდგორეცთან“ სტუმრად 1-3 წააგეს, შინ კი მინიმალური სხვაობით მოიგეს და ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირზე გამოსვლა ასე დაასრულეს.

სამაგიეროდ, ივარგა ქუთაისის „ტორპედომ“, რომელმაც შინ ნათამაშები ფრეს შემდეგ, გასვლაზე, ალბანურ „ტირანას“ მინიმალური სხვაობით სძლია და შემდეგ ეტაპზე კვიპროსულ „ომონიას“ ხვდება. იმის გათვალისწინებით, რომ „ტორპედოში“ სოლიდური ინვესტიცია განხორციელდა და უცხოელ მწვრთნელთან ერთად, გუნდში არაერთი ლეგიონერია, შეგვიძლია, იმედი გვქონდეს, რომ ქუთათურებს კვიპროსული ბარიერის დაძლევის შანსიც ექნებათ.

არის! – მიქაუტაძე „ლიონში“ ითამაშებს

როგორც იქნა, გიორგი მიქაუტაძის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი დასრულდა და ქართველი ფორვარდი კარიერას „ლიონში“ გააგრძელებს. საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ჩვენებურისთვის უცხო არაა – მიქაუტაძე „ლიონის“ აკადემიაში 2008-2015 წლებში გამოდიოდა და საფეხბურთო ანა-ბანაც სწორედ იქ ისწავლა. ახლა კი...

„ის აქ არის და ის იდეალურია“, – ასეთი სათაური წაუმძღვარა კლუბის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა მიქაუტაძის ტრანსფერს.

რაც შეეხება დეტალებს, მიქაუტაძემ კლუბთან კონტრაქტი 2028 წლამდე გააფორმა, ხოლო მისი ყოფილი კლუბი „მეცი“, ფეხბურთელის სანაცვლოდ, 18.5 მილიონ ევროს მიიღებს. შესაბამისი წარმატებისა და გოლების საჭირო ოდენობის გატანის შემთხვევაში, „მეცი“ დამატებით კიდევ 4.5 მილიონს მიიღებს. აღნიშნული სატრანსფერო თანხიდან, 15% „აიაქსს“ გადაერიცხება – გუნდს, რომელშიც მიქაუტაძის კარიერა არ აეწყო. ჰო, კიდევ ერთი, თუ „ლიონი“ მიქაუტაძეს გაყიდის, მომავალი ტრანსფერიდან 15%-ს უკვე „მეცი“ მიიღებს.

„აქ ყოფნით ბედნიერი ვარ. ახლა ამბობენ, რომ ალეკსანდრ ლაკაზეტი და მე საუცხოო შემტევ დუეტს შევქმნით. ლაკაზეტი საოცარი ფორვარდია, ძალიან გამოცდილი, მისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. მე სახლში დავბრუნდი. როცა აქედან წავედი, პატარა ბიჭი ვიყავი, ახლა კაცი ვარ და მჯერა, ჩემ გამზრდელ გუნდს წარმატების მიღწევაში დავეხმარები. რაც შეეხება „მეცს“, ეს გუნდი ჩემს გულში სამუდამოდ იქნება. მინდა „მეცის“ გულშემატკივრებს ვუთხრა, რომ მათ გვერდით და ერთ-ერთი იმათგანი ვარ“, – განაცხადა მიქაუტაძემ.

მამარდაშვილი მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული მეკარე გახდა, მაგრამ...

გიორგი მამარდაშვილი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე რომ არის, ევროპის ჩემპიონატზეც დამტკიცდა. ქართველმა კიპერმა კონტინენტის პირველობაზე ყველა კოლეგაზე მეტი დარტყმა მოიგერია, მაგრამ მთავარი ესეც არ არის – ყველამ დაინახა, რომ საქართველოს ნაკრების კარს, ძალიან, ძალიან კარგი მეკარე იცავდა და ყველა თანხმდება იმაზე, რომ მამარდაშვილი ბევრად უკეთეს კლუბს იმსახურებს, ვიდრე „ვალენსიაა“.

ოფიციალურად, ესპანური კლუბი წინააღმდეგი არ არის, მამარდაშვილი გაყიდოს და ევროპის ჩემპიონატამდე, მის სანაცვლოდ, ყველაზე ცოტა, 40 მილიონ ევროს ითხოვდა, ახლა კი, ამაზე მეტის მიღება სურს. პარალელურად, „ტრანსფერმარკეტმა“ განაახლა ფეხბურთელების ფასები და გიორგი 45 მილიონ ევროდ დაფასდა ანუ მსოფლიოში ყველაზე ძვირი მეკარე გახდა. ჰოდა, „ვალენსიას“ მესვეურებს ახლა 45 მილიონზე ნაკლების მიღება არ სურთ და უდიდესი ალბათობით, მიიღებენ კიდეც.

როგორც გვეუბნებიან, მამარდაშვილის აგენტთან მოლაპარაკებას რამდენიმე კლუბი აწარმოებს, მაგრამ ხმაური ნაადრევად რომ არ ატყდეს, ამიტომ მოლაპარაკებები გასაიდუმლოებულია.

სპორტსმენმა ოლიმპიადისთვის თითი მოიჭრა

მეტ დოუსონი ბალახის ჰოკეიში ავსტრალიის ნაკრების სტაჟიანი წევრია. სხვა ნაკრებების დარად, ოლიმპიადისთვის მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებიც აქტიურად ემზადებიან, მაგრამ რად გინდა – ერთ-ერთ ვარჯიშზე, დოუსონმა თითი მოიტეხა და ექიმების ვერდიქტი დამამშვიდებელი მართლა არ იყო – მას ოლიმპიადის გამოტოვება მოუწევდა, თუმცა...

„ექიმთან კონსულტაციის შემდეგ, გადავწყვიტე, რომ თითი მომეჭრა. მოჭრილ თითს ბევრად მალე მოვიშუშებ და ოლიმპიადაზე თამაშს შევძლებ. თანაც, ეს თითი რამდენჯერმე უკვე მომტყდა და შემდგომი კარიერისთვისაც ასე აჯობებს – მე თითი მოვიჭერი და ამით ბედნიერი ვარ“, – განაცხადა დოუსონმა და საზოგადოებას მოჭრილი თითი წარუდგინა.

კონტემ დე ლაურენტისს შეგზავნა

მოგეხსენებათ, იტალიური მედია არც თუ იშვიათად წერდა, რომ „ნაპოლის“ პრეზიდენტი, აურელიო დე ლაურენტისი სამწვრთნელო საქმეებში ხშირად ერეოდა, მწვრთნელს მითითებებს აძლევდა, თუ ვინ უნდა ეთამაშებინა ძირითად შემადგენლობაში, ვინ დაესვენებინა და ა.შ. ჰოდა, როცა გუნდის თავკაცად ანტონიო კონტე დაინიშნა, ჟურნალისტებმა ივარაუდეს, რომ გამოცდილი სპეციალისტი დე ლაურენტისს ამდენის უფლებას არ მისცემდა და ასეც მოხდა. „ნაპოლიში“ ახალი წესები შემოიღეს და ის ყველას ეხება, პირველ რიგში კი, კლუბის პრეზიდენტს.

„დე ლაურენტისსა და მის წარმომადგენლებს, აგრეთვე კლუბის სტაფში მომუშავე სხვა პირებს, არ აქვთ უფლება დაესწრონ სავარჯიშო პროცესს, ვარჯიშის დროს ფეხბურთელებთან იკონტაქტონ ნებისმიერი ფორმით. არ აქვთ უფლება, საუზმის, სადილის და ვახშმის დროს, შევიდნენ სასადილოში და ფეხბურთელებს რამე უთხრან, არ აქვთ უფლება, შეაფასონ მატჩი ფეხბურთელების თანდასწრებით“, – წერია კონტეს მოთხოვნებში და როგორც ამბობენ, მას ყველა დაემორჩილება.

ყველაფრის მიუხედავად, პრესა მაინც ვარაუდობს, რომ დე ლაურენტისი პირველივე წარუმატებლობის შემდეგ, ამ წესს დაარღვევს, რასაც კონტესთან კონფლიქტი და მისი გუნდიდან წასვლა მოჰყვება. არადა, სწორედ ახალ მწვრთნელთან საუბრის შემდეგ მიიღო ხვიჩა კვარაცხელიამ გუნდში დარჩენის გადაწყვეტილება და თავის მხრივ, კონტეც დაჰპირდა, რომ გუნდი სწორედ ქართველის გარშემო აეწყობა.

ბელინგემი ნაკრებში არავის უყვარს

ჯუდ ბელინგემი არა მარტო მადრიდის „რეალის“, არამედ, ინგლისის ნაკრების ლიდერიც არის და დღეის მდგომარეობით, საკუთარ პოზიციაზე, მსოფლიოში საუკეთესოა. სწორედ მის დამსახურებად თვლიან სპეციალისტები იმას, რომ ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდა, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ თავიანთი ლიდერი გუნდში არავის უყვარს და ინგლისის ნაკრების სხვა ფეხბურთელები პატივს არ სცემენ.

ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ბელინგემს თავი ღმერთი ჰგონია და თუ გუნდი აგებს, ეს ყველას ბრალია, ჯუდის გარდა, ხოლო თუ გინდი იმარჯვებს, ეს მხოლოდ ბელინგემის დამსახურებაა. თურმე, ის ასაკით უფროს თანაგუნდელებსა და მასზე ბევრად გამოცდილ ფეხბურთელებს უყვირის, თამაშის დროს სულელურ მითითებებს აძლევს, კონკრეტულ მოთამაშეებთან მიდის და პირდაპირ მატჩის დროს ეუბნება, რომ მათი სირბილის ტემპი არ მოსწონს. ამიტომაც, თურმე, ბელინგემს ნაკრებში ურთიერთობა, პრაქტიკულად, არავისთან აქვს ანუ ხმასაც კი არავინ სცემს, მეტ-ნაკლებად, გუნდის კაპიტან ჰარი კეინთან ურთიერთობს.

რონალდომ სიმართლე 22 წლის შემდეგ გაამხილა

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ფინალში, ბრაზილიის ნაკრებმა გერმანია 2-0 დაამარცხა და ალემანთა კარში ორივე გოლი რონალდომ გაიტანა. „კიჭა“ მაშინ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი იყო, მაგრამ ტრავმა ზედ ჩემპიონატის დაწყების წინ მოირჩინა და ამიტომ, ჟურნალისტები მუდმივად ტრავმაზე ეკითხებოდნენ. ჰოდა, რონალდომ ახლა გაამხილა, როგორ დააღწია მაშინ თავი მომაბეზრებელ კითხვას.

„ბოლომდე ჯანმრთელად არ ვიყავი, მაგრამ ვცდილობდი, ამაზე არ მეფიქრა. არადა, როგორც კი ჟურნალისტები დამინახავდნენ, პირველ რიგში, სწორედ ტრავმაზე მეკითხებოდნენ. რამე უნდა მომეფიქრებინა და მოვიფიქრე კიდეც. ჩემს სტილისტს დავურეკე და ვთხოვე, თმა ისე შეეჭრა, რომ ძალიან უცნაური, სასაცილო და მახინჯი ვარცხნილობა გამოსულიყო. ჰოდა, როგორც გახსოვთ, 2002 წლის მუნდიალზე, ყველაზე უცნაური ვარცხნილობა მქონდა. შედეგი აშკარად მივიღე – როგორც კი ჟურნალისტები დამინახავდნენ, კითხვას ვარცხნილობაზე მისვამდნენ და არა ტრავმაზე. მეც ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია გავიარე და ის ჩემპიონატი როგორც ვითამაშე, კი იცით“, – განაცხადა რონალდომ.

იგავ-არაკები

სულხან-საბა ორბელიანი

აქიმი და ორი სნეული

იყო ერთი მეფე სახელოვანი, მოწყალე და ძლიერი. ჰყვა აქიმი ერთი, რომ სენი უკურნებელი ვერ მოურჩებოდა.

ორი დიდებული დასნეულდა მეფისა სასტიკითა სენითა. ერთი ესრეთ შეკრულ იყო მუცელში, ათხუთმეტს დღეში ერთხელ ვერ გავიდის. და ერთი ასრე გახსნილიყო, დღეში ორმოცჯერ იყვანდის.

დიდად დაშვრა მათ აქიმობაზე და ვერა რა ჰკურნა. ჰკითხვიდის მეფე მრავალგზის მათს ამბავს.

დღესა ერთსა მოეხვია აქიმი მეფესა მუხლსა და მოახსენა:

– თუცა რისხვა გნებავს ჩემი, მომკალი და ამიკლე, და, თუცა მწყალობ, ეს მითავე, მათს აქიმობას მომარიდე. ერთისათვის ამაზე ვაღამებ დღესა: ცოტად გავიდეს, და ერთისათვის ამაზე ვათევ ღამესა, როდეს მეღირსოს მისი გასვლა! ჩემის სიმდიდრისათვის მეფეს ვევედრები და ცხოვნებისათვის ღმერთსა. ღვთის ხვეწნა ამაზე დავასრულე და რიღათ აწ ერთს ვეღირსო?!

ბზიკის მწვრთნელი

მე ბზიკს ასრე გავწვრთნი, ჰაერიდამ მფრინავი წერო და ვარხვი ჩამოიღოს.

პირველ მოუწონეს. მერმე ჰკითხეს: ვითაო?

მან თქვა:

– ლერწამში ჩავსხამ, რა დაიმართება, რა წეროს კავკავი მოვა, ამოვუტევებ, ჰაერში ავლენ ორნივ, ერთი ერთს თვალში უცემს, მეორე – მეორეში. თვალნი დაუბრმდებიან და ჩამოცვივიან.

იწყინა ვაზირმან და მეფესა ჰკადრა: რა შენი საკადრისია, ასეთსა სიტყვასა მოგახსენებს! ეგება ეს კი იქმნას და მართალი იყოს: ის ბორა ბუზი რომ არის, იმან ამ რიგად ქმნას, რომ შეაწუხოს მეკალოვე ხარივითა და ძირს ჩამოიღოს.

თავმან შენმან, ამისთანა კაცი შენ წინ არ უნდა მოიყვანო!

ბრძენი მკურნალი

ჩემი გამწვრთნელი დიდი აქიმი იყო. ყოვლის სენის მკურნალი იყო და თვით დასნეულდა დიდად. მოვიდენ მრავალნი მკურნალნი და რომელნიცა შემოვიდის საწამლოდ, მან სნეულმან ერთი თითი აუშვირის. იგი აქიმნი ვერას მიუხვდიან და აღარ აწამლების.

გამოხდეს მრავალნი დღენი. ეს ამბავი გაითქვა ყოველგან. ერთი სხვა აქიმი მოვიდა და ნახა. მან სნეულმან რომ ერთი თითი აუშვირა, მან მოსულმან ორი თითი აჩვენა. იამა სნეულსა, მოიხმო და მაჯა აჩვენა. უწამლა და მორჩა.

მე ვკითხე:

– რად სხვათ არ აწამლებინე-მეთქი?

მან მითხრა:

– ყველა გამოვსცადე და სიბრძნე არც ერთსა ჰქონდა, და უსიბრძნო აქიმი სამსალას მშობელია.

ვჰკითხე:

– თითის ჩვენება რა იყო-მეთქი?

მან მითხრა:

– მე ერთის თითის ჩვენებით ამას ვეტყოდი, თუცა ასი კაცი არ გაგიტყავებია, სრული აქიმი არა ხარ-მეთქი. სხვათ ვერა შეიგნეს რა. და მან ორი თითი მით მიჩვენა, ორასი გამიტყავებიაო და იგი, ამისი ცოდნა, მიამა და მით მოვრჩი.

რა სნეულს გულს დიდად იამოს, იგი მორჩეს უსაცილოდ.

გლახაკი და ფლური

ერთი კაცი დია გლახაკი იყო. დღე ყოველ ღმერთს გამდიდრებას ევედრებოდა.

გამოხდა ხანი, და მას კაცს მუცლის ტკივილი და ყვანა დაემართა. რა კარში გავიდის, ტკივილი დაუწყის. აზომ შეწუხდა, მიწას გლეჯა დაუწყო. რა მიწა მოგლიჯა, ერთი ქილა ფლური ჰპოვა.

მან კაცმან ღმერთს მადლი მისცა და თქვა: დიდად მოწყალ ბრძანდები, მაგრამ ვირემ კაცსა სისხლს არ დაანთხევინებ, არას მისცემო!

– ეს არაკი ამისთვის მოგახსენე, რომ ლეონ ვირემდის სამჯერ-ოთხჯერ სიკვდილად არ წააყენე, არ მოეხმარე და აწ წყალობა უყავ!

ლეონ უთხრა ჯუმბერს:

– ძეო მეფისაო, ყრმა ხარ და მოხმარებას ჰგონებ, თვარა აწ დამკლა სრულიად. მტერი რა კაცსა მტერობით ვერას დააკლებს, დაემოყვრების და მით გაუსრულებს მტერობას.

გლახაკი და ქილა ერბო

ერთი გლახაკი კაცი მივიდოდა გზასა ზედა და ერთი ქილა ერბო ჰპოვა. აიღო ქილა, საკიდარში ჯოხი გაუყარა და მხარზე შეიდვა. დაიწყო გზა-გზა სლვა და გულთა ამასა უბნობდა:

– აწ გამდიდრება მოინდომა ღმერთმან ჩემი. ჩავალ ქალაქად და ერბოს ნახევარ მარჩილად გავყიდი; მით თორმეტს ქათმის სამამლე წიწილებს ვიყიდი, მოვიყვან, დავზრდი, დავყვერავ, დავასუქებ და თითოს თითო აბაზად დავყიდი. მერმე მით საეშვე გოჭებს ვიყიდი, დავასუქებ, დავაკერატებ და ორ-ორ მარჩილად დავყიდი. მერმე მით სახარე ხბორებს ვიყიდი, დავზრდი, მოვხნავ, მოვთესავ და აშენებული შევიქმნები.

და ამ გულისთქმაში შეშა აუდვა და ქალაქს გასასყიდლად წამოიღო.

ერთი ხიდი დახვდა. თქვა მან კაცმან: აქ ხარი არ გაიარს, ხმა გავცეო. შესძახა: ჰარიო!

დაუქნია ჯოხი, ერბოს ქოთანი ხიდზე დაჰკრა, ქოთანი გატეხა, ერბო დაიქცა. მისის გულისთქმით გამდიდრება წუთზე წაუხდა.

– შენც შენის გონებით ბევრს რასმე ზრახავ და გამდიდრდები, მაგრამ ასეთი რამ გაგიზრახავს, რომე ღვთის ძალით შენს თავსაც მოჰშლი, არამც თუ განზრახული გაათაო.

გლეხი და სამი გველი

ერთი კაცი ყანას მკიდა. ნახა, ორი გველი თამაშობდა. ერთმან გველმან მეორე დააწვინა, გარეშემო თვით წრე შემოავლო და წავიდა.

მივიდა ერთი სხვა გველი. დაინახა, წრეს შიგნით ერთი გველი წევს, წრე აღარ შეშალა, შეიკუნჩხა, შეხლტა, წრეში ჩახლტა, გველი მოკლა და ისევ გადახლტა და წავიდა.

მოვიდა მეორე იგი გველი. ნახა, თავისი ტოლი მოკლულია. მას კაცსა ცხენისათვის ალერდი დაეთიბა, ხორომად შეეკრა. მას შიგ შეძვრა და დაიმალა.

მან კაცმან რა მუშაობა გაათავა, თივა აიკიდა, შინ წაიღო. მას ღამე გველი გამოძვრა და სულ ჯამჭურჭელი დაუშხამა და თივაშივე დაიმალა.

მეორეს დღეს მან კაცმან მათ გველთ ამბავი ცოლს უამბო. რა გველმან მის კაცის უბრალობა შეიგნა, გამოძვრა და, რაც ჭურჭელი გესლით დაეშხამა, სულ ჩამოყარა და დაამტვრია და კარი გაიარა.

შეიგნეს მათ ცოლ-ქმართა, რომ გველი თან მოჰყოლოდა და ახლა უბრალობისათვის ჭურჭლის დაშხამაც აცნობა და წავიდა.

ენით დაკოდილი

ერთი კაცი და ერთი დათვი დაძმობილდენ. აწვია კაცმან მან დათვი იგი, ლხინი აჩვენა. დათვი დაეთხოვა, გამოესალმა, მან კაცმან აკოცა და ცოლსაც აკოცნინა დათვისათვის.

მას დიაცსა რა დათვის სიმყრალე ეცა, განერწყვა და თქვა: პირმყრალს სტუმარს ვერ ვეწყობიო!

წავიდა დათვი. და მერმე ეს კაცი ეწვია და თან ცული წაიღო: მოის შეშას დავკოდ და წამოვიღებო!

მოვიდა დათვი და, რაც მათ ეფერებოდა, იმგვარად იალერსეს. მერმე დათვმან დაუჟინა: თავზე ერთი ცული დამკარ და დამკოდეო!

მან კაცმან უარი თქვა. დათვი არ მოეშვა. დაჰკრა ცული და თავი გაუტეხა. დათვი ტყეში წავიდა და კაცი შინ წამოვიდა.

მეორეს თვეს შეიყარნენ. დათვს თავი გამთელებოდა. დათვმან უთხრა: ძმაო, შენის ცულით დაკოდილი თავი გამიმთელდა და შენის ცოლის ენით დაკოდილი გული არაო.

თუნჯარელი მეტილისმენი

წამოველ მუნით და მოველ ქვეყანასა თუნჯარისასა. მუნ მრავალი ტილისმა და გრძნება იციან. ასეთი ჭკუათამყოფელი კაცი არ მივა, მათი რამ გაიგოს.

ძველთაგან ვისმე ერთი კლდე გამოუხვრეტია შიგ დიდს მთაშია და შიგნით კამარებით ერთის დღის სავალი შეუკრავს ბნელითად და ერთი დიდი რკინის კარი შეუბამს და ასეთი ტილისმა დაუცს: წელიწადში ერთხელ გაეღება, ექვსსა ჟამსა ღია არის და აგრევ დაიხშვის. მას შიგან ტყავის ქარტების წიგნები შეუკრავს და ზედ არაბულად ტილისმანი და გრძნებანი დაუწერია.

ვისაც მისი სწავლა უნდა, ერთის წლის ნუზლს და მის სანთელს მზას იქმს და მას კარზე დადგება. რა გაიღება, შევა. წლამდის შიგ უნდა იყოს, მონახოს. რა ძნელი ტილისმა უნდა, ჰპოებს და გარდასწერს. რაც გრძნება უნდა, მუნ შეიგნებს და რა წელიწადზე კარი გაეღება, გამოვა, და რაც უნდა იქმს.

აწ მე მუნ ვიყავ, და ამბავი მოვიდა და მე კი თვალით არ მინახავს.

ახალი ტრენდი ტრამპის მიმდევრებში

აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის მიმდევრებში მეტად უჩვეულო ტენდენცია იძენს პოპულარობას. მისმა მომხრეებმა ცალ ყურზე სახვევის ტარება დაიწყეს, რითაც ექს-პრეზიდენტის მიმართ მხარდაჭერას გამოხატავენ. ახალი ტრენდი პირველად რესპუბლიკური პარტიის ყრილობაზე შენიშნეს, რომელიც ცოტა ხნის წინ გაიმართა. ბევრი მონაწილე შეკრებაზე ყურზე თეთრი სახვევით მივიდა. ამ ერთგვარი „მოდის“ სათავეები კი ცოტა ხნის წინანდელი მოვლენაა, როცა ტრამპზე თავდასხმა მოხდა. სახვევები იმ ჭრილობის სიმბოლოა, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატმა მარჯვენა ყურზე მიიღო.

აივ-ინფექცია დამარცხებულია?



სულ ორი ინექცია წელიწადში, სრულ იმუნიტეტს იძლევა ვირუსის მიმართ. თუკი ახალ პრეპარატს მოიწონებენ, მსოფლიო აივ-ინფექციის ამოძირკვას მიუახლოვდება. სწავლულებმა შექმნეს პრეპარატი, რომელიც 100%-ით იცავს ადამიანს დაინფიცირებისგან. წამლის ავტორი კომპანია Gilead Sciences-ია. ადრე ამ კომპანიამ შექმნა აბები შიდსის პროფილაქტიკისთვის – Truvada და Descovy. მათი ეფექტურობა იმით დადასტურდა, რომ ამ პრეპარტების გამოყენების შემდეგ, ადამიანების 99% აღარ დაავადებულა. ახლაც, ახალმა ვაქცინამ – „ლენაკაპავირმა“ წარმატებით გაიარა ცდები, რადგან კვლევების მესამე ფაზაში, ვირუსისგან 100%-იანი დაცვა აჩვენა. ექსპერიმენტში მონაწილეობდა 16-დან 25 წლამდე ასაკის 5 300-ზე მეტი ქალი, რომლებიც დაავადების უშუალო რისკის ზონაში ცხოვრობდნენ. მათგან არცერთს არ გადასდებია აივ-ინფექცია. სწავლულთა თქმით, ახლა არსებობს სრული მტკიცებულება, რომ წელიწადში ორი აცრა შიდსის მიმართ სრულ იმუნიტეტს მოგვცემს. თუმცა, პრობლემად რჩება მისი ძალიან მაღალი ფასი – ერთი ნემსის ღირებულება 20.5 ათასი დოლარია, არადა, წელიწადში, ორი ნემსია საჭირო.

პატარძალი ქორწილში დააკავეს

საკუთარ ქორწილში დაკავებულ მექსიკელ პტარძალს, ნენსი როდრიგეს-გვადარამას 11.5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ეჭმიტანილი მაშინ დააკავეს, როცა ის ეკლესიაში ჯვრისწერაზე შევიდა. ასე რომ, მას საქორწინო ტორტის გაჭრაც არ დასცალდა. ის მაშინვე, თეთრი საქორწინო კაბით, პროკურატურაში გადაიყვანეს. მომავალმა მეუღლემ გაქცევა მოასწრო, თუმცა მოგვიანებით, ის საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს. შემთხვევის ადგილზე 200-ზე მეტი ტყვია აღმოაჩინეს. შემთხვევა გასულ წელს მოხდა, დაკავებულ პატარძალს ბრალი ძარცვაში ედებოდა, ძალადობის გამოყენებით. როდრიგესის სასამართლო ერთი კვირის წინ შედგა. პროკურორებმა დაამტკიცეს, რომ ქალი დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრი იყო და ძარცვაში მონაწილეობდა. ოჯახის ნაცვლად, მას ახლა კოლონიაში მოუწევს ცხოვრება.

კოსმეტიკა მხოლოდ თქვენთვის

სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში, ერთ-ერთ მაღაზიაში, ხელოვნური ინტელექტის მქონე რობოტი „მუშაობს“, რომელიც ინდივიდუალურ კოსმეტიკურ საშუალებებს ქმნის. მანქანის სისტემა ადამიანის სახის სკანირებასა და კანის დიაგნოსტიკას ახდენს. შემდეგ პროგრამა შესაბამის ტონსა და პროდუქციის ტიპს სთავაზობს. შესაძლოა, ეს იყოს ტონალური კრემი, ან ბაზა მაკიაჟის ქვეშ. მას შემდეგ, რაც კლიენტი ჩამოყალიბდება და არჩევანს გააკეთებს, რობოტი ინდივიდუალურ საშუალებას ამზადებს. პროდუქტი ადგილზევე, მაღაზიაში იქმნება, მყიდველის შეკვეთის შემდეგ. პროექტის ავტორების თქმით, დღეისთვის, რობოტის კატალოგში ტონალური კრემის 205 ელფერი და 366 ფერის ტუჩის საცხია.

საკვებად მწერებს დაიმატებენ

სინგაპურის ხელისუფლებამ 16 სახეობის მწერის საკვებად გამოყენება და ასევე, მათი იმპორტი დაამტკიცა. „იმის გამო, რომ მწერების საკვებად გამოყენება ადრეულ ეტაპზეა და ის ახალი საკვები პროდუქტია ქვეყანაში, დეპარტამენტმა შეიმუშავა მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც გასცემს რეკომენდაციებს ამა თუ იმ მწერზე და მათ საკვებად გამოყენებაზე“, – ნათქვამია უწყების განცხადებაში. დამტკიცებულ სიაში შეყვანილია ციცინათელები, კალიები, ფქვილის ჭიები, ფუტკარი და აბრეშუმის ჭია. ადგილობრივი კომპანიები აქტიურად ატარებენ ექსპერიმენტებს, სხვადასხვა სახეობის მწერების გამოყენებით, ახალ-ახალი კერძების შესაქმნელად.

სამსახურიდან წასვლის სერვისი აამოქმედეს

„სამსახურიდან გათავისუფლების აგენტები“ გამოჩნდნენ ამომავალი მზის ქვეყანაში. სერვისი საინტერესოა – მენეჯერები ეხმარებიან თანამშრომლებს, სამსახურიდან სტრესისა და კონფლიქტის გარეშე წავიდნენ. ეს სპეციალისტები იცავენ მათ ზეწოლისა და მოტყუებისგან კომპანიების ხელმძღვანელობის მხრიდან, რომლებიც მათ ადგილზე დატოვებას ცდილობენ. კვალიფიციური კადრების ნაკლებობის გამო, იაპონელი დამსაქმებლები ხშირად მიმართავენ დაშინებას და იძულებას. სამსახურიდან წასვლის მსურველი თანამშრომლები ხშირად აწყდებიან ბულინგს, ზოგჯერ მათ განცხადებას არც კი იღებენ და ხევენ. „გათავისუფლების აგენტი“ თავად ჩააბარებს განცხადებას წასვლის თაობაზე, ყურადღებას მიაქცევს ანაზღაურების საკითხს და დაიცავს კლიენტს მორალური ზეწოლისგან. ასეთი მომსახურების საფასური 25-დან 50 ათას იენამდეა (160-320 აშშ დოლარი).

სამკურნალო ვეიპი შექმნეს

ელექტრონული სიგარეტების ჩინური მწარმოებელი Wuang Bencao აცხადებს, რომ შეძლეს ჭეშმარიტად რევოლუციური სიახლის დამზადება – ვეიპი, რომელიც ფილტვებს წმენდს. კომპანიის წარმომადგენლების თქმით, მოწყობილობა უჩვეულო ნარევზე მუშაობს. მასში შედის მცენარეული ნაკრები, მათ შორის, ბამბუკი, პიტნა, ნუში, ფორთოხალი და თაფლიც კი. მწარმოებლების მტკიცებით, ასეთი კომპლექსი ყელსა და ფილტვებს გასუფთავებაში ეხმარება. ორგანიზმიდან გამოჰყავს ტოქსინები და გარდა ამისა, სიახლე, თურმე, უძილობასაც შველის. ახალი ელექტრონული სიგარეტი უკვე გაყიდვაშია. მისი ფასი 68 იუანია (10 აშშ დოლარი). ინტერნეტ-მომხმარებლები სკეპტიკურად უყურებენ ამ სიახლეს და ნაკლებად სჯერად მწარმოებელი კომპანიის დაპირებების.

ელექტრომობილი ხანდაზმულებისთვის

იაპონურმა კონცერნმა – Toyota-მ, ახალი ელექტრომობილი შექმნა, რომელიც სპეციალურად ასაკოვან ადამიანებზეა გათვლილი. მანქანა ორადგილიანია და მას საათში მხოლოდ 60 კილომეტრი სიჩქარის განვითარება შეუძლია. ელექტრომობილის სრული დამუხტვისას, ის მხოლოდ 100 კილომეტრს გავლის. კომპანიის წარმომადგენლების თქმით, მანქანა მეტად კომფორტული, მოსახერხებელი და იმავდროულად, ეკონომიურიცაა, რაც მოხუცებს მის მოხმარებას გაუადვილებს. ახალი მოდელის ელექტრომობილის შეძენა ხანდაზმულ ადამიანებს უკვე მომავალი წლიდან შეეძლებათ.

პედოფილებს კიბოს წამლით უმკურნალებენ

შვედეთის კაროლინის ინსტიტუტში წამლის გამოცდა იწყება, რომელიც დაეხმარება მამაკაცებს პედიფილიისკენ მიდრეკილების განკურნებაში. ექსპერიმენტში 60 მოხალისე მონაწილეობს, რომლებიც გრძნობენ ბავშვებისადმი ლტოლვას, მაგრამ დანაშაული არ ჩაუდენიათ და სურთ, ამ მავნე გადახრას თავი დააღწიონ. აღსანიშნავია, რომ ეს პრეპარატი ადრე წინამდებარე ჯირკვლის კიბოს მკურნალობისას გამოიყენებოდა – ის აფერხებს ტესტოსტერონის გამომუშავებას და სქესობრივ ლტოლვას აქვეითებს. სწავლულთა თქმით, ტესტოსტერონის გამომუშავება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რომელიც ბავშვებზე ძალადობას უწყობს ხელს, რადგან ეს ჰორმონი ძლიერ აღგზნებას იწვევს, აქვეითებს თვითკონტროლსა და ემპათიას.

დიდხანს მჯდომარე სამუშაო ზიანს გვაყენებს

ბრიტანელმა მკვლევარებმა გადაწყვიტეს ეჩვენებინათ, რა ზიანი მოაქვს მჯდომარე სამუშაოს და შექმნეს ქალის მოდელი, რომელმაც 20 წელი იმუშავა ოფისში. ექსპერტებმა „ცოცხალ“ მაგალითზე აჩვენეს, ჯანმრთელობის რა პრობლემებს იწვევს კომპიუტერის მონიტორთან დიდხანს დროის გატარება და ფიზიკური აქტიურობის არარსებობა. მკვლევარებმა ოფისების სამი ათასზე თანამშრომელი გამოკითხეს საფრანგეთიდან, გერმანიიდან და დიდი ბრიტანეთიდან და გაარკვიეს, ყველაზე ხშირად რას უჩივიან ისინი. აღმოჩნდა, რომ ყველაზე უფრო გავრცელებული ზურგის ტკივილები, მხედველობის პრობლემები და შაკიკია. გარდა ამისა, რესპონდენტებმა აღნიშნეს წონაში მატება და სხვა დავადებებიც. კვლევის შედეგების მიხედვით, შეიქმნა ცვილის მოდელი „ემა“ – ოფისში, ოცწლიანი მუშაობის შედეგად, ემას „აწუხებს“ კუზი – მოხრილ მდგომარეობაში ჯდომის გამო, ვარიკოზი – სისხლის ცუდი მიმოქცევის გამო, თვალების გაღიზიანება, სუსტი კუნთები – ფიზიკური დატვირთვის არარსებობის გამო, გამონაყარი ხელებზე, მაჯის გასივება ერთი და იგივე მოძრაობების გამო, ფერდაკარგული ან მოყვითალო შეფერილობის კანი – ბუნებრივი განათების არარსებობის გამო. აქვს ასევე ჭარბი წონა, ხოლო შენობაში არსებული ცუდი ხარისხის ჰაერის გამო კი – თმიანი ყურები და ცხვირი.

„მომთაბარეობით“ ფულს ზოგავენ

ბრიტანელი წყვილი – 43 წლის ნიკი და 40 წლის რაი, რომელთაც ორი შვილი ჰყავთ, გასული წლის სექტემბრიდან, სახლებისა და შინაური ცხოველების პროფესიონალი მეთვალყურეები გახდნენ. ამის წყალობით, ოჯახი ათასობით გირვანქა სტერლინგს ზოგავს სახლისა ქირასა და კომუნალურ მომსახურეობაში. როგორც გამოცემა The Sun-ი წერს, ათი თვის განმავლობაში, ოჯახმა 20 ათასი გირვანქა დაზოგა. მხოლოდ 99 გირვანქა საწევრო გადაიხადეს სპეციალურ საიტზე, მიიღეს შესაძლებლობა, ოთხი დღიდან ექვს კვირამდე იცხოვრონ 16 სხვადასხვა სახლში, დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. ცხოვრების ასეთი წესის თაობაზე გადაწყვეტილება ოჯახმა შარშან მიიღო, როცა ველარ აუვიდნენ საცხოვრებელზე ფასების ზრდას. 8 და 7 წლის შვილები სკოლიდან გამოიყვანეს და გადაკეთებული ფურგონით შორეულ მოგზაურობაში წავიდნენ. მანამდე ოჯახი 1200 გირვანქას – სახლის ქირაში და 500 გირვანქამდე – კომუნალურებში იხდიდა. ახლა მათი ხარჯები მობილური კავშირით, საკვებით, დაზღვევითა და საწვავით შემოიფარგლება. ასეთი სამუშაოს წყალობით, მათ ბევრი უნიკალური ადგილიც ნახეს: შობას შოტლანდიაში შეხვდნენ, სადაც ძროხებს უვლიდნენ, ცხოვრობდნენ შვეიცარიაში, საფრანგეთის ალპებში და ნიდერლანდებში. „ვრწყავთ ყვავილებს, სახლში სისუფთავეს ვინარჩუნებთ, ვუვლით შინაურ ცხოველებს. სახლის მფლობელები ხშირად საჩუქრად ტკილეულს, ხილსა და ბოსტნეულს გვიტოვებენ, – ამბობს ნიკი, – ეს ყველაფერი ბავშვებისთვის განსაკუთრებით რთულია, მაგრამ უნიკალურ გამოცდილებასაც იღებენ, სხვადასხვა კულტურასა და ცხოვრების სტილს ეცნობიან“, – დარწმუნებულია დედა.

ქალი მოხუცთა თავშესაფრიდან გაიქცა

ჩინეთში, 92 წლის ბებია ორმეტრიან ღობეზე გადაძვრა და მოხუცთა თავშესაფრიდან გაიქცა. თანაც, ეს რეკორდულად სწრაფად, სულ რაღაც 24.5 წამში შეძლო. თუმცა, შორს წასვლა ვერ მოახერხა – თანამშრომლებმა ის დაწესებულებასთან ახლოს, მალევე იპოვეს და უკან დააბრუნეს. მოხუცთა თავშესაფრის დირექტორის თქმით, ბებიას ალცჰაიმერის მძიმე ფორმა აქვს. მისი სიმაღლე სულ 1.6 მეტრია, ის 92 წლისაა და ასე მარტივად ღობეზე გადაძრომა რომ მოახერხა, მისი ფიზიკური აქტივობის დამსახურებაა. მოხუცი კლდეზე ცოცვითაც ყოფილა გატაცებული. მოხუცთა სახლის კამერების ჩანაწერები ჩინურ სოციალურ ქსელებში უმალ გავრცელდა და ასაკოვანი ქალის მოხერხებულმა მოძრაობებმა და სპორტულმა უნარებმა მომხმარებელთა აღფრთოვანება დაიმსახურა. კომენტარებში წერდნენ, რომ გაცილებით ახალგაზრდა ასაკშიც ვერ დაიკვეხნიდნენ ასეთი ენერგიულობითა და ამტანობით. „92-ის კი არა, 29 წლისაც ვერ შევძლებდი ამ ღობეზე გადაძრომას“, – წერს ერთ-ერთი მათგანი.

მეზღვაურებს მაკიაჟის გაკეთების უფლება მისცეს

ახალი ზელანდიის სამხედრო-საზღვაო ძალების მამრობითი სქესის სამხედრო მოსამსახურეებს ნება დართეს, მაკიაჟი და ხელოვნური წამწამები გაიკეთონ. მომავალი თვიდან, ზელანდიურ ფლოტში, თავის მოვლასა და გარეგნობასთან დაკავშირებით ახალი წესები ამოქმედდება. გარდა წამწამებისა და მაკიაჟისა, მეზღვაურებს შეუძლიათ, ფრჩხილებზე უფერო ან ღია ფერის ლაქი წაისვან, თმა ნატურალურ ფერებში შეიღებონ, ატარონ ნაწნავები, ბეჭდები, საყურეები და გამოიყენონ პარფიუმიც. ამ ახალი განაწესით, სამეფო ფლოტი არ აკეთებს განსხვავებას მამრობით და მდედრობით სქესს შორის, პირადი ჰიგიენიდან და გარეგნობიდან გამომდინარე.

ცივი ჩაი ჯანმრთელობას ვნებს

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ცივი ჩაი, შესაძლოა, თირკმელებში კენჭების წარმოქმნის მიზეზი გახდეს, რადგან ის დიდი ოდენობით შეიცავს ოქსალატებს (მარილებსა და მჟაუნმჟავებს). სწავლულების თქმით, კენჭების წარმოქმნის რისკი ოთხჯერ უფრო მეტია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში. ცნობილია, რომ ძირითადად, რისკის ჯგუფში 40 წელს გადაცილებული კაცები შედიან. ასევე სუსტი სქესის ის წარმომადგენლები, რომლებსაც ორგანიზმში ესტროგენის დაბალი დონე აქვთ, ან მენოპაუზის პერიოდში არიან, ანდა საკვერცხეები აქვთ ამოკვეთილი. მედიკოსები გამაგრილებელი სასმელების მოყვარულებს ურჩევენ, ცივი ჩაის ნაცვლად, უპირატესობა წყალს მიანიჭონ, ანდა სახლში მომზადებული ლიმონათი მიირთვან. რეკომენდებულია ასევე ლიმნიანი წყალიც, რომელიც კენჭების წარმოქმნას უშლის ხელს, მათში არსებული ციტრატების წყალობით.

ცოდვების მოსანანიებლად ძაღლზე იქორწინა

ინდოეთში მცხოვრებმა, 33 წლის მამაკაცმა ცოდვების მონანიება გადაწყვიტა და ცოლად ძაღლი მოიყვანა. ახალგამომცხვარი სიძის თქმით, უკვე 15 წელია, წყევლას ატარებს, რადგან მოკლა და ხეზე ჩამოახრჩო ორი ძაღლი. უკვე ხელ-ფეხი აღარ მემორჩილება, ცალ ყურში კი სმენაც დამაკლდა, – ამბობს „ცოდვილი“ ინდოელი. ერთხელ, მამაკაცმა ასტროლოგს მიმართა, რომელმაც განუცხადა, რომ მას მოკლული ძაღლების სული არ აძლევს მოსვენებას. ცოდვის გამოსყიდვის ერთდადერთი გზა კი ძაღლზე დაქორწინება იყო. აღსანიშნავია, რომ ინდოეთის ზოგ პროვინციაში, დღესაც მიღებულია „ცხოვრების თანამგზავრად“ ცხოველის არჩევა, რადგან იქაურებს მიაჩნიათ, რომ ამ გზით ისინი ბოროტ სულებს დევნიან. ძაღლების მკვლელი მამაკაცისა და მისი რჩეული, მაწანწალა ძაღლის, სელვის ქორწინების ცერემონია ერთ-ერთ ინდურ ტაძარში გაიმართა. „პატარძალი“ ქორწილისთვის სიძის ახლობლებმა მოაზადეს: დაბანეს და საქორწილოდ ნარინჯისფერი სარით მოკაზმეს, არც ყვავილების გირლანდები დავიწყებიათ. სადღესასწაულო ცერემონიის შემდეგ, სიძემ სტუმრების პატივსაცემად წვეულებაც გამართა, „პატარძალი“ კი ტკბილ ფუნთუშას დაყაბულდა.

კლიენტებს შავ ყველს სთავაზობენ

უკანასკნელ პერიოდში, აქტივირებული ნახშირი მეტად პოპულარული ინგრედიენტი გახდა საკვებ პროდუქტებში. ამიტომაც, მათთვის, რომლებსაც ტრადიციული ყველის ასორტი მოსწყინდათ, ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში მდებარე სტეი-ჰაუსი Willie Brothers სთავაზობს შავ ყველს, შესაბამისი გასტრონომიული ტენდენციებით. შავი მელნისფერი პროდუქტი, სახელწოდებით Venom Cheese, ჩვეულებრივი მოცარელაა, რომელსაც ნახშირი აქვს დამატებული. ეს ყველი სიახლეა დღეს არსებული მოდური საკვები პროდუქტების სიაში, რომელიც აქტივირებული ნახშირით არის გამდიდრებული და თითქოსდა, ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა – დაწყებული ორგანიზმის დეტოქსიკაციიდან, დამთავრებული – კბილების გათეთრებამდე.

ყავის მოყვარულები მეტად ავადდებიან

ამ გამამახნევებელი სასმელის ხშირად მირთმევა ორგანიზმს ვირუსებისა და ბაქტერიების მიმართ უფრო მოწყვლადს ხდის, – აცხადებენ სპეციალისტები. გაციების სეზონზე გრიპით ან სურდოთი დაავადების რისკი განსაკუთრებით მაღალია ყავის მოყვარულებში. სწავლულთა თქმით, კოფეინს აქტიურად გამოჰყავს წყალი ორგანიზმიდან, გაუწყლოება კი იმუნიტეტს აქვეითებს. გაციების სეზონზე, სჯობს, ტრადიციული ყავა და მაგარი ჩაი მორსებით და ბალახეულის ჩაით ჩავანაცვლოთ. მეტი უნდა მივიღოთ წყალიც. იმუნიტეტის დაქვეითება, შესაძლოა, გამოუძინებლობამაც გამოიწვიოს.

ყოველდღიური შხაპი ტვინს „კლავს?“

შხაპის რეგულარულად მიღებამ, შეიძლება, ტვინის მუშაობაში დარღვევები გამოიწვიოს, – ასეთ დასკვნებს ამერიკის უეიკ-ფორესტის უნივერსიტეტის მკვლევარები აკეთებენ. საქმე ის არის, რომ წყლის პროცედურების დროს, ჩვენს მიერ შესუნთქული მანგანუმი, რომელსაც ონკანის წყალი შეიცავს, ორგანიზმზე საზიანოდ მოქმედებს. სწავლულების თქმით, ამ ნივთიერების შესუნთქვა ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებებს იწვევს. მანგანუმის ნეგატიური ზემოქმედება ტვინზე, შესაძლოა, სწავლისას სიძნელეების, ქცევის ცვლილებისა და კიდურების კანკალის მიზეზი გახდეს. აშშ-ში, მანგანუმის დასაშვები კონცენტრაცია წყალში 0.5 მილიგრამია, ევროკავშირმა კი ეს მაჩვენებელი 0.05 მილიგრამამდე დაიყვანა.

მოგზაურობა „გატეხილი გულებისთვის“



ჰონგ-კონგში, ახალი მობილური აპლიკაცია – Breakup Tours შექმნეს იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც უიღბლო სიყვარულის დავიწყება სურთ. კომპანიაში, სადაც ეს აპლიკაცია მოიფიქრეს, მიაჩნიათ, რომ განშორების გადატანის საუკეთესო საშუალება მოგზაურობაა. თუმცა, იდეა ახალი არის, მდიდარი ადამიანები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში „კურნავდნენ“ გატეხილ გულს მოგზაურობებით. ახალი სერვისი არ სთხოვს მომხმარებელს, მიუთითოს მოგზაურობის თარიღი ან აირჩიოს სასტუმროს ნომერი. კლიენტებმა წინასწარი დაჯავშნისას უცნაურ კითხვებს უნდა უპასუხონ. მაგალითად, მთვარის რომელი ფაზა მოგაფიქრდათ ამ წამს, ან რისი თქმა გინდათ ყოფილი შეყვარებულისთვის? უიღბლო სიყვარულის მსხვერპლთ ბუნებაში გასვლას ან ხელოვნებაში „თავით გადაშვებას“ სთავაზობენ. აქვთ საშუალება, სხვა მხრიდან შეხედონ პრობლემას და გრძნობებს გასაქანი მისცენ.

სელფით გატაცება ტილებს ავრცელებს

ადამიანიდან ადამიანზე ტილები უშუალო კონტაქტის გზით გადაეცემა, ხოლო კოლექტიური სელფებით მასობრივმა გატაცებამ მათი მასობრივი გავრცელება გამოიწვია აშშ-სა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, – წერს Washington Post-ი, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით. ამერიკელმა სპეციალისტებმა მოულოდნელი დაავადების გავრცელება იმით ახსნეს, რომ ჯგუფური სელფის დროს, ადამიანები ხშირად თავებს ერთმანეთს ადებენ. ეს კი მწერებს მშვიდად გადაადგილების საშუალებას აძლევს. აშშ-ში მკვეთრად გაზრდილია მოთხოვნა ტილების მოსაშორებელ საშუალებებზე. მსგავსი ვითარება შეინიშნება კანადასა და დიდ ბრიტანეთში. ხშირად ადამიანები პრობლემას სახლში ვერ უმკლავდებიან და პარაზიტების მოსაშორებლად პროფესიონალურ დახმარებას ითხოვენ. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სიტუაცია ვერ გამოსწორდება და შესაძლოა, პრე-პანდემიურ დონეს დაუბრუნდეს, თუკი ადამიანები კვლავ გააგრძელებენ ახლო კომუნიკაციას საზოგადოებრივ ადგილებში – ოფისებში, საბავშვო ბაღებში, სკოლებსა და სხვა ადგილებში.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.